

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში

არსებული პოლიტიკის და ინიციატივების
ანალიზი



Sapari / საფარი

თბილისი 2017



UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY



კვლევა გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობისთვის ფარგლებში.

გამოცემაში მოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ გამოხატავს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის შეხედულებებს.

ავტორი: ქრისტინე მარგველაშვილი

კვლევის კონსულტანტი: ირინე კვახაძე

მადლობა სამუშაო ჯგუფის წევრებს: ლია ნადარაიას, ჩარიტა ჯაშს, მიხეილ თოქმაზიშვილს, ეკა ღვინჯილიას, ანა ქათამაძეს, ირინა გურულს და მაკა ჭითანავას განეული დახმარებისთვის.

ყდის დიზაინი: ციცი ზაქალაშვილი

დაკაბადონება: გიორგი ბაგრატიონი

კავშირი „საფარი“

მისამართი: ქანთარიას 11/ა, 0160, თბილისი, საქართველო; ტელეფონი: 032 2 307 603;

ვებგვერდი: www.sapari.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „საფარის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

© კავშირი „საფარი“, 2017

გამომცემლობა „ნეკერი“, 2017

ISBN 978-9941-457-95-1

სარჩევი

მოკლე შეჯამება	5
შესავალი	6
(უ)თანასწორობის სტატისტიკა	6
(უ)თანასწორობა საერთაშორისო ინდექსების მიხედვით	8
ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ანალიტიკური ჩარჩო	11
კვლევის მიზანი	14
კვლევის ამოცანები	14
კვლევის მეთოდოლოგია	14
კვლევის არეალი	14
შერჩევა	14
საველე სამუშაოები	15
კვლევის შედეგები	18
სახელმწიფო მექანიზმები, კანონმდებლობა და პოლიტიკა	
გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ქრილში	18
ინსტიტუციური მექანიზმები	18
საერთაშორისო ვალდებულებები	19
სამთავრობო პოლიტიკა	20
სახელმწიფო პროექტებში ქალთა ჩართულობა	22
ანარმომე საქართველოში	23
კოოპერატივების განვითარების პროგრამა	24
ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	27
ქალები სოფლად – სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტები	27
მთავარი მიგნებები	30
სხვადასხვა დონორის მიერ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით	
დაფინანსებული პროექტები	32
ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სანყისებთან	32
ბენეფიციარების გამოცდილება	35
საერთაშორისო მიდგომები და გამოცდილებები: ქალთა ეკონომიკური გაძლიერების	
პროექტების დაგეგმვა:	37
მთავარი მიგნებები	38
ქალთა ეკონომიკური გაძლიერება: კორპორატიული სექტორი, პოლიტიკა და პრაქტიკა	39
ძირითადი მიგნებები	39
მთავარი მიგნებები	40
საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროცესის მთავარი გამონვევები	42
დასკვნა	44

რეკომენდაციები	45
საჯარო სექტორი	45
სახელმწიფო პოლიტიკა.....	45
სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერება.....	46
ქალები დასაქმების ადგილზე	46
სახელმწიფო პროგრამები.....	46
დონორები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები:.....	47
კორპორატიული სექტორი:	48
დანართი №1	49
დანართი №2	50
დანართი №3	55
დანართი №4	56

მოკლე შეჯამება

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საერთაშორისო დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. საქართველო, თავის მხრივ, ცდილობს ნაბიჯების გადადგმას გენდერულად თანასწორი საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება ელოდება წინ; ამასთანავე, სიღარიბის და უმუშევრობის მასშტაბები ქალებს ორმაგად მოწყვლად მდგომარეობაში ამყოფებს. ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ქალთა გაძლიერების გზაზე არსებული სხვადასხვა კულტურულ-რელიგიური და სოციალური წინაღობები, რომელთა დაძლევისადაც სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ.

აღნიშნული კვლევის მიზანია საქართველოში ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ფორმულირების ხელშეწყობა. კერძოდ, იგი იკვლევს ბოლო ათი წლის განმავლობაში სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობოების მიერ განეულ სამუშაოს და კორპორატიული სექტორის დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ფემინისტურ ანალიტიკურ ჩარჩოზე დაყრდნობით, შევეცადეთ გაგვეჩვენოთ, თუ რა არის მთავარი გამოწვევა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით საქართველოში, ძირითად რა ტიპის აქტივობები ხორციელდება ქალების გასაძლიერებლად და როგორია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა.

კვლევა თვისებრივი ხასიათისაა, რომლის ფარგლებშიც, 31 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; და მათ მიერ განხორციელებული პროექტების ბენეფიციარებთან. რაც შეეხება კორპორატიულ სექტორს, მონაცემები შეგროვდა კითხვარებისა და სატელეფონო ინტერვიუების მეშვეობით. დამატებით, შესაბამისი უწყებებიდან გამოვითხოვეთ რიგი რაოდენობრივი მონაცემები, რომლის დესკრიპტული ანალიზიც სრული სურათის წარმოჩენას ემსახურება.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, მთავარ გამოწვევას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ქალთა აგენტობის (agency) ხელშეწყობა წარმოადგენს. ქვეყანაში არ არსებობს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკა. ინსტიტუციური მექანიზმები არასრულია, საკანონმდებლო ბაზა კი გამართული, თუმცა არაეფექტური. პროგრამების და ინიციატივების ანალიზისას, დადგინდა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, რომ ქვეყანაში ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მხოლოდ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამები მუშაობდა, მაშინ, როდესაც კორპორატიულ სექტორს ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების პრობლემა უდგას.

შესავალი

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში, ეკონომიკური ძალადობის აღმოფხვრა და ეკონომიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა კი ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. რადგან გენდერული თანასწორობის მიღწევა დიდწილად ქალების ეკონომიკურ გაძლიერებაზე გადის, განვითარებული სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ აქტორებთან ერთად, ცდილობენ, აღმოფხვრან ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობა და გააუმჯობესონ ეკონომიკური გაძლიერების მრავალი ისეთი ასპექტი, როგორებიცაა ეკონომიკურ რესურსებზე თანაბარი წვდომა, მინის და სხვა საკუთრების ფლობის უზრუნველყოფა, ქალთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე, განსაკუთრებით კი ლიდერულ პოზიციებზე, და აუნაზღაურებელი საოჯახო შრომის აღიარება¹.

საქართველოში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით, მდგომარეობა მკვეთრად გასაუმჯობესებელია. ეკონომიკურ გაძლიერებას წინ სხვადასხვა ფაქტორი ეღობება – კულტურული, რელიგიური თუ ეკონომიკური. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისია, ქალები რეალურ ცხოვრებაში სისტემურ ჩაგვრას განიცდიან და ისინი, როგორც სამუშაო ძალა, თითქმის სრულიად უგულვებელყოფილნი არიან.

(უ)თანასწორობის სტატისტიკა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის 52.08%-ს ქალები შეადგენენ. ამავდროულად, **ცოცხლად დაბადებული ქალების რაოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე – მამაკაცების**. ეს კი ქვეყანაში და, ზოგადად, რეგიონში გავრცელებულ პრაქტიკაზე – სელექციურ აბორტებზე მიანიშნებს. ასევე, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს დაქორწინებულთა სტატისტიკა – **16-19 წლამდე დაქორწინებულთა 85% ქალია**². ეს მაჩვენებელი ადრეული ქორწინების პრაქტიკის ანარეკლია. ადრეული ქორწინება კი ქალის სამუშაო ძალაში მონაწილეობას ზღუდავს, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, დაქორწინებული ახალგაზრდა ქალების რესურსები აუნაზღაურებელ საოჯახო შრომას ხმარდება და ინდივიდის პროფესიული განვითარება ფერხდება.

ცოდნა და უნარები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელოვანი კომპონენტია, ხოლო **საქართველოში საგანმანათლებლო დარგები კვლავ გენდერულად სეგრეგირებულია**. ქალი სტუდენტების რიცხოვნობა ყველაზე დაბალია სოფლის მეურნეობის პროგრამებზე, ხოლო კაცი სტუდენტებისა – განათლების პროგრამებზე. ტრადიციულად, საინჟინრო და სამშენებლო (STEM)³ დარგებზე სტუდენტთა უმეტესობა კაცია, ისინი მეცნიერების და სოფლის მეურნეობის პროგრამებზეც ჭარბობენ.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოში გენდერული სტერეოტიპები წლების მანძილზე არ იცვლება. **როგორც სოფლად, ისე – ქალაქში, შინამეურნეობების უფროსად, უმეტესად, კაცი მოიაზრება**. 2017 წლის გენდერული სტატისტიკით, რომელიც, თავისთავად, 2016 წლის მონაცემებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, (2014 წლის აღწერას ეყრდნობა) – შინამეურნეობების 62%-ში უფროსი კაცია. აღსანიშნავია, რომ სოფლად უფრო ნაკლებია ისეთი შინამეურნეობების რაოდენობა, სადაც უფროსი ქალია⁴.


2016 წლის მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის ქალების 42% ეკონომიკურად არააქტიურია, ხოლო იმავე ასაკობრივ კატეგორიაში, კაცების მხოლოდ 22%-ია ეკონომიკურად არააქტიური. რაც შეეხება დასაქმებას, – კაცების 67%, ქოლო ქალების 53% დასაქმებულია (იხ. სქემა #1).

1 Hunt A & Samman E.; *Women's Economic Empowerment. Navigating Enablers and Constraints*. Overseas Development Institute, 2016 September. Pg 12.

2 საქართველოს სტატისტიკის სამსახური. *ქალი და კაცი საქართველოში*. 2017, გვ 52

3 Science, Technology, Engineering and Mathematics.

4 საქართველოს სტატისტიკის სამსახური. *ქალი და კაცი საქართველოში*. 2017, გვ 62



სქემა #1: 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, 2016 წ.
(წყარო: გენდერული სტატისტიკა, 2017)

სქემიდან ჩანს, რომ უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე (29%) 15-24 წლამდე ქალებშია, ხოლო ყველაზე დაბალი (2 %) – 55 წელს ზემოთ ასაკის ქალებში. ქალების ყველაზე აქტიური დონე 45-54 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში შეინიშნება (81%), მაშინ, როცა კაცები ეკონომიკურად აქტიურები უფრო ადრეულ ასაკში ხდებიან: 25-34 ასაკობრივი ჯგუფიდან (94%). კაცებში უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე, ასევე, 15-24 ასაკობრივ ჯგუფშია (18%). აღნიშნული მდგომარეობა წარმოშობს მწვავე უთანასწორობას სამუშაო ბაზარზე. პირველ რიგში კი, ეს უთანასწორობა აისახება ხელფასებზე.

უკანასკნელი (2016 წლის) მონაცემებით, ქალების საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 731.2 ლარი შეადგინა, ხოლო კაცების ხელფასი 1116.6 ლარს უტოლდება⁵.

გაეროს განვითარების პროგრამის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, დაუსაქმებელი ქალების 18% აცხადებს, რომ მას სამსახურის და საოჯახო საქმეების შეთავსება გაუჭირდება და ამიტომაც ურჩევნია, არ იმუშაოს. ასევე, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალების უმეტესობას არ აქვს შემოსავალი, და ქალების ერთი მეხუთედი ამბობს, რომ მეუღლეს/პარტნიორს მასზე მეტი შემოსავალი აქვს. აუნაზღაურებადი საოჯახო საქმე ქალის მთავარ მოვალეობად ითვლება, რაც ხშირ შემთხვევაში, როგორც გამოკითხულთა უმეტესობა ამტკიცებს, გამოორიცხავს ქალის ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებას. რაც შეეხება იმ სფეროებს, სადაც ქალის დასაქმება არის მისაღები, რესპონდენტები რამდენიმეს ასახელებენ. ქალი შეიძლება იყოს: პედაგოგი, ფარმაცევტი, ექიმი, ჟურნალისტი, ბანკის ოპერატორი, დიზაინერი, მცირე ბიზნესში და არასამთავრობო სექტორში დასაქმებული⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად შრომითი უფლებების სამართლებრივი მხარე მონესრიგებულია, დასაქმებულ ქალთა მდგომარეობა კვლავ მიძიმება: სამუშაო ადგილზე არ არის გათვალისწინებული

⁵ საქართველოს სტატისტიკის სამსახური. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი სქესის მიხედვით. 2017 წელი; მისაწვდომია: [<http://www.geostat.ge/?action=page&p-id=148&lang=geo>]

⁶ გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში. საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე, პოლიტიკასა და ბიზნესში. 2013 წელი. გვ. 29.

სათანადო პირობები ორსული და მეძუძური ქალებისთვის⁷. აქვე, უნდა აღინიშნოს შრომის ინსპექციის ეფექტურობის გაზრდა სამუშაო ადგილზე, თანასწორი გარემოს შექმნის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში შრომის ინსპექცია 2005 წლიდან 2015 წლამდე არ არსებობდა, ხოლო დღევანდელი მოცემულობით, ის ჩანასახობრივ მდგომარეობაშია და გაძლიერებას საჭიროებს. 2017 წელს დაგეგმილია ცვლილებების შეტანა კოდექსში, შრომის ინსპექციის უფლება მოვალეობების გაფართოების მიზნით, რაც საწყის ეტაპზე სამუშაო პირობების კონტროლის გამკაცრებას მხოლოდ მძიმე, მავნე და საშიშ პირობების მქონე დასაქმების ადგილებზე ითვალისწინებს⁸.

(უ)თანასწორობა საერთაშორისო ინდექსების მიხედვით

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, გავანალიზოთ, თუ რა პოზიციები გვიჭირავს გენდერული თანასწორობის საკითხში საერთაშორისო მასშტაბით, რადგანაც ეს ინფორმაცია მოგვცემს საშუალებას, დავინახოთ, თუ სად (რომელ ქვეყანაში) შეიძლება ვეძიოთ საუკეთესო პრაქტიკები და გამოცდილებები. გაეროს მიერ 2015 წელს გამოქვეყნებული **ადამიანის განვითარების ინდექსის** მიხედვით, საქართველო საშუალო განვითარების ქვეყნებს მიეკუთვნება, იკავებს 70-ე ადგილს და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორებიც არიან: ბელარუსია, ბულგარეთი, ყაზახეთი, სერბეთი და ირანი. საქართველო ამავე ინდექსის გენდერულ ნაწილში (GDI-Gender Development Index) მეორე ჯგუფში მოხვდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის, ადამიანური განვითარების მაჩვენებელი თანაბრად ან საშუალოდ თანაბრად არის გადანაწილებული. საქართველო 0.970 ქულით უახლოვდება ბელგიის, ისრაელის და დიდი ბრიტანეთის მაჩვენებლებს⁹. გენდერის განვითარების ინდექსი სამი თანაბრად შენონილი კომპონენტისგან შედგება. ეს კომპონენტებია: განათლება, შემოსავალი და ჯანმრთელობა.

ადამიანის განვითარების ინდექსის ნაწილია ასევე, მეორე მნიშვნელოვანი საზომი – გენდერული გაძლიერების საზომი (Gender Empowerment Measure-GEM), რომელიც გაძლიერებას სამი მიმართულებით ზომავს. ეს მიმართულებებია: (1) ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა და გადანყვეტილების მიღება; (2) ეკონომიკაში მათი ჩართულობა და გადანყვეტილების მიღება; და მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი – (3) ეკონომიკური რესურსები¹⁰. როგორც GEM-ის მონაცემები გვიჩვენებს, 1997 წლიდან 2007 წლამდე, საქართველოს მაჩვენებელი უმჯობესდებოდა და 2007 წლისთვის მან 0.408 შეადგინა. სამწუხაროდ, გაეროს ადამიანის განვითარების შემდეგი წლის ანგარიში GEM-ს აღარ მოიცავს და მომდევნო პერიოდის განვითარებები გენდერული უთანასწორობის ინდექსით ფასდება (Gender Inequality Index).

გენდერული უთანასწორობის ინდექსი (Gender Inequality Index) – თანასწორობას სამი მიმართულებით ზომავს. ესენია: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გაძლიერება და შრომის ბაზარზე ჩართულობა. საქართველო ამ მიმართულებით მონაცემებს აუმჯობესებს. 2015 წლის შეფასებით, ქვეყანა 0.361 ქულით შეფასდა, 2012 წელს – 0.375 ქულით, თუმცა, 1995 წლის მაჩვენებელთან – 0.426-თან შედარებით, მდგომარეობა რადიკალურად არ შეცვლილა; 20 წლის განმავლობაში 0.065 ქულით გაუმჯობესება ნამდვილად არასახარბიელო განვითარების მაჩვენებელია¹¹. **პრობლემა იმაშია, რომ საქართველოს მაჩვენებელი მხოლოდ კანონმდებლობის დახვეწის ხარჯზე უმჯობესდება, ხოლო პრაქტიკა იგივე რჩება.** შედარებისთვის, ლიტვის მონაცემები რომ ავიღოთ, ქვეყანამ 1995 წლის 0.305 ქულა 2015 წლისთვის 0.121-მდე გააუმჯობესა, რაც შთამბეჭდავია, ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის გათვალისწინებით. განვითარების იგივე ტენდენციაა ლატვიაში, სლოვენასა და ჩეხეთის

7 ალტერნატიული ანგარიში საქართველოში ქალთა უფლებებისა და გენდერის საკითხების შესახებ. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის კომიტეტისათვის (CEDAW) წარსადგენად. თბილისი, 2014 წელი.

8 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ახალი კანონპროექტი “შრომის უსაფრთხოების შესახებ” მთავრობის სხდომაზე დაამტკიცეს. 2017 წელი, 25 მაისი. ხელმისაწვდომია: [http://www.moh.gov.ge/news/3682/]


9 United Nations Development Programme; *Human Development Report, Gender Development Index*. 2016. Accesable: [http://hdr.undp.org/en/composite/GDI#b]

10 ბენდელიანი ნ.; *გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით*, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) 2012 წელი. გვ. 18

11 United Nations Development Programme; *Human Development Report, Gender Development Index*. 2016. Accesable: [http://hdr.undp.org/en/indicators/68606]

რესპუბლიკაში. ამ ქვეყნებმა გენდერული თანასწორობის კუთხით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს.

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვან ინდექსებს შორის არის **მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის გენდერული სხვაობის ინდექსი (Gender Gap Index)**. 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, 144 ქვეყანას შორის, საქართველო 94-ე ადგილზეა, 0.679 ქულით. გაეროს ინდექსებისგან განსხვავებით, WEF-ის (World Economic Forum) ინდექსის შკალაზე „1“ თანასწორობას ნიშნავს, ხოლო „0“ – უთანასწორობას. მსოფლიოს გენდერული სხვაობის ინდექსი იზომება: ეკონომიკაში მონაწილეობის და შესაძლებლობების; განათლებაზე ხელმისაწვდომობის; ჯანმრთელობის და სიცოცხლის ხანგრძლივობისა და პოლიტიკური ჩართულობის მიხედვით.



სქემა #2: გენდერული სხვაობის ინდექსი საქართველოსთვის, 2017 წ. (წყარო: World Economic Forum)


როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველოს მაჩვენებელი – 0.679 – ინდექსის (მსოფლიო) საშუალო მაჩვენებელზე, (0.586-ზე) ოდნავ მაღალია და, ეკონომიკის კუთხით, 75-ე ადგილზე ვიმყოფებით. რაც შეეხება განათლებას, აქ ოდნავ უფრო დაბალი მაჩვენებელი გვაქვს – 81-ე ადგილს ვიკავებთ, 0.989 ქულით. პოლიტიკური გაძლიერების და ჯანმრთელობის კუთხით, ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გვაქვს. განსაკუთრებით ყურადსაღებია 114-ე ადგილი, პოლიტიკური გაძლიერების კუთხით. აქ ქვეყანას 0.093 ქულა აქვს, რაც 144 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია¹². GGI ინდექსის მიხედვით, ისევე, როგორც GII ინდექსის მიხედვით, განვითარების საკმაოდ არასახარბიელო ტრენდია. თუ 2006 წელს 0.670 ქულით 54-ე ადგილზე ვიყავით 115 ქვეყანას შორის, 2016 წელს 0.679 ქულით 94-ე ადგილს ვიკავებთ.

გენდერული თანასწორობის კუთხით, მსოფლიოს მასშტაბით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი (SIGI), რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ არის შემუშავებული. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, 0.2035 ქულით, საქართველო საშუალო გენდერული დისკრიმინაციის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება. ეს ინდექსი აფასებს უთანასწორობის გამომწვევ მთავარ მიზეზებს – ზომავს კულტურული და სოციალური პრაქტიკისა და საკანონმდებლო ნორმების ამსახველი ინსტიტუტების გავლენას, რომელიც უთანასწორობას წარმოქმნის და ქალის შესახებ სტერეოტიპების გავრცელებას უწყობს ხელს. საზომ შკალაზე “0” ნიშნავს, რომ ინსტიტუტების გავლენა საერთოდ არ აღინიშნება ან მხოლოდ ქალების მცირე ნაწილზე ვრცელდება, ხოლო “1” ნიშნავს, რომ სოციალური ინსტიტუტების გავლენა ქალების უმრავლესობას ან სრულიად ქალებზე ვრცელდება¹³ 2014 წლის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ყველაზე საგანგაშო მაჩვენებელი იმ ინდიკატორში გვაქვს, რომელიც ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭებას ასახავს. აქ ე. წ. გამქრალი გოგონების ფენომენია ასახული,

12 World Economic Forum; *The Global Gender Gap Report 2017*. Accesable: [http://www3.weforum.org/docs/WEF-GGGR-2017.pdf]

13 ბენდელიანი ნ.; *გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით*, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) 2012 წელი. გვ. 31

ასევე, დათვლილია კაცების წილი უკანასკნელ შვილებში, რომელთა შემდეგაც ქალებს აღარ სურთ ბავშვის გაჩენა, ან სტერილურობას ამჯობინებენ. 0.6236 ქულით, მივეკუთვნებით ისეთი ქვეყნების სიას, სადაც ძალიან მაღალია ვაჟებისთვის უპირატესობის მინიჭების მაჩვენებელი. რაც შეეხება ფიზიკური ხელშეუხებლობის მაჩვენებელს, იგი 0.2112-ს შეადგენს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ამ კატეგორიაში სექსუალური შევიწროების მარეგულირებელი კანონის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობის მხრივ გვაქვს, რაც ქვეყანაში ამ კუთხით პრობლემის მასშტაბურობაზე მიანიშნებს. ერთი მხრივ, აქ სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის საკანონდებლო ბაზის გამართვა და ოჯახში ძალადობის აღმკვეთი ღონისძიებების არაეფექტურობა არის ხაზგასმული. რაც შეეხება საოჯახო კანონმდებლობის მაჩვენებელს, ამ კრიტერიუმში 0.3522 ქულით ქვეყნების საშუალო კატეგორიაში ვიმყოფებით. ქალების მიერ ფინანსურ რესურსებზე წვდომის მხრივ ხარვეზები არ არის აღმოჩენილი და შესაბამისად, 0 ქულით ფასდება, ხოლო მინაზე და სხვა მოძრავ თუ უძრავ ქონებაზე წვდომა/ფლობა 0.5 ქულით არის შეფასებული, რაც შემდეგ დეტალურად არის განმარტებული და ნიშნავს, რომ კანონმდებლობით, ქალებს აქვთ გარანტია მინის და სხვა ქონების ხელმისაწვდომობაზე, თუმცა კულტურული, რელიგიური თუ საზოგადოებრივი ნორმები ზღუდავს ამ უფლებების განხორციელებას და ქალები დისკრიმინირებულნი არიან¹⁴.




კრიტერიუმი	ქულა
Family code (საოჯახო კანონები)	0.3522
Physical Integrity (ფიზიკური ხელშეუხებლობა)	0.2112
Son Bias (ვაჟის დაბადებისთვის უპირატესობის მინიჭება)	0.6236
Resources (რესურსები)	0.4076
Civil Liberties (სამოქალაქო თავისუფლებები)	0.5399

სქემა #3: სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი (SIGI), საქართველოს მაჩვენებლები, 2014 წ. (წყარო: OECD)

„ეკონომისტის“ – მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი გამოცემის ეკონომიკური ანალიტიკის სამსახური, ასევე, აქვეყნებს ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსს. გამოცემულია ორი პუბლიკაცია – 2010 და 2012 წლებში. 2012 წლის მონაცემებით, საქართველო 128 ქვეყნიდან 59-ე ადგილზე იმყოფება, 54.5 ქულით. თუმცა, შემოსავლების კლასიფიკატორის გათვალისწინებით, საქართველო მეხუთე ადგილს იკავებს ქვედა საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს შორის და ჩამორჩება უკრაინას, ალბანეთს, ტუნისსა და ტაილანდს. რაც შეეხება ცვლილებას დროში, – 2010 წელთან შედარებით, 2012 წელს, საქართველოს მხოლოდ 4.4 ქულიანი გაუმჯობესება აქვს. თუ უფრო ფართოდ შევხედავთ, საქართველო ვერც აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებს შორის გამოირჩევა მონინავე ადგილებით. 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, 29 ქვეყანას შორის, საქართველო მე-18 ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ რეგიონის ლიდერია ლიტვა, რომელსაც

14 OECD Development Center; *Social Institutions & Gender Index 2014*, Accessed: [http://www.genderindex.org/country/georgia/#-ftn88]

მოწყვება სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და ბულგარეთი. რეგიონის შეფასების ანგარიში აზუსტებს, რომ თითქმის ყველა ქვეყანას გააჩნია გამართული საკანონმდებლო ბაზა სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის, ქონებაზე წვდომის და სხვა ინდიკატორების მხრივ, თუმცა, პრობლემას წარმოადგენს მონიტორინგის და აღსრულების მექანიზმის გაუმართაობა. ინდექსი ეყრდნობა და აფასებს შემდეგ კრიტერიუმებს: შრომის პოლიტიკა და პრაქტიკა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, განათლება და გადამზადება, ქალების ლეგალური და სოციალური სტატუსი და ბოლოს, ზოგადი ბიზნეს გარემო ქვეყანაში. საქართველოს მაჩვენებლები, დიაგრამის და ცხრილის სახით, ქვემოთ არის დეტალურად მოყვანილი:



სქემა#4: ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი 2012, საქართველოს მონაცემები (წყარო: The Economist, Intelligent Unit)

ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის მიხედვით, საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა ზოგადი ბიზნეს გარემოს და ლეგალური და სოციალური სტატუსის ინდიკატორებით აქვს, ხოლო ყველაზე დაბალი – ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და შრომის პრაქტიკის კუთხით. გაუმჯობესებას საჭიროებს თანაბარი ანაზღაურების პრაქტიკა, ქალების პოლიტიკური მონაწილეობა და ქალებისთვის საკრედიტო ისტორიის ფორმირების პრაქტიკა (ქვეინდიკატორები დეტალურად იხ. დანართი #1-ის სახით). ვიდრე საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკას და განხორციელებულ ინიციატივებს გავაანალიზებთ, საჭიროა, უფრო ვრცლად განიმარტოს, რას ნიშნავს ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ანალიტიკური ჩარჩო

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციას სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარად განმარტავს. ერთნი მიიჩნევენ, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება არის ქალთა ეკონომიკურ რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის და კონტროლის დამყარების პროცესი. იგივე განმარტება, ასევე გულისხმობს ქალების მიერ რესურსების გამოყენებას თავიანთი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის უკეთ გასაკონტროლებლად¹⁵. მსგავს მოსაზრებას აყალიბებენ სხვა თეორეტიკოსებიც 2014 წლის ანგარიშში – „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრესი; ტექნიკური გადამწყვეტილებებიდან პოლიტიკურ აქტამდე“, სადაც მიჩნეულია, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება მოიაზრებს პიროვნული და სოციალური ცვლილებების პროცესს, რომელიც მიმდინარეობს ფსიქო-სოციალურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ჩრდილში, და რომლის მეშვეობითაც ქალები ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად იძენენ ძალას, არჩევანს და კონტროლს თავიანთ ცხოვრებაზე¹⁶.

15 Taylor G. & Perezniето P; *Review of Evaluation Approaches and Methods used by Interventions on Women and Girls' Economic Empowerment*. March 2014, Shaping Policy for Development.

16 O'Neil T., Domingo P. & Valters C.; *Progress on Women's Empowerment. From Technical Fixes to Political Action*. Accessed: [https://www.odi.org/sites/odi.org.uk/files/odi-assets/publications-opinion-files/9282.pdf]

თუ ეკონომიკურ გაძლიერებას განვიხილავთ, როგორც პროცესს, მაშინ უნდა მოვიხილოთ დაშვება, რომ ამ პროცესში მოქმედება სხვადასხვა განზომილებაში ხდება. შესაბამისად, უნდა მივიჩნიოთ, რომ არსებობს გაძლიერების რამდენიმე განზომილება: **თვითგაძლიერება, ორმხრივი გაძლიერება – ადამიანებს შორის და სოციალური გაძლიერება**, რომლის შედეგიც სოციალური ქმედებებია. სამივე ტიპის გაძლიერება ერთმანეთზეა დამოკიდებული, ხოლო სოციალური გაძლიერება სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი დაბრკოლებების აღმოფხვრის შედეგად ინარმოება. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამივე განზომილებას მოიცავს. ასევე, არსებობს გაძლიერების სხვადასხვა შრეები, სადაც ქალთა გაძლიერება მიმდინარეობს ინდივიდუალურ, ოჯახურ, ჯგუფურ, ორგანიზაციულ, სათემო, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე. პროცესის ბოლოს, ვიღებთ ეკონომიკურად გაძლიერებულ ქალს, როდესაც მას აქვს შესაძლებლობა, წარმატებული იყოს ეკონომიკურად და აქვს ძალაუფლება, ეკონომიკური გადანყვეტილებები მიიღოს¹⁷. საბოლოოდ, ეს პროცესი ქალის სრულფასოვან ეკონომიკურ აქტორად ჩამოყალიბებით გვირგვინდება. თუმცა, ხშირად თავად პროცესის მრავალნახაგოვანობის გამო, რთულია ერთ ასპექტზე ყურადღების გამახვილება.

როდესაც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ამ საკითხისადმი ფემინისტური მიდგომის ანალიტიკური ჩარჩოც. ფემინისტური ანალიზისთვის, გენდერი მთავარი ანალიტიკური ჩარჩოა, გენდერული როლები და მოლოდინები კი სოციალურ ინსტიტუტებსაა მიბმული. ფემინისტური ეკონომიკური ანალიზი განიხილავს ოთხ სოციალურ ინსტიტუტს: სახელმწიფო, ბაზარი, საზოგადოება და შინამეურნეობა. ამ პრიზმაში, ოჯახი (შინამეურნეობა) მოიაზრებს როლების ტრადიციულ გენდერულ გადანაწილებას, სადაც მამაკაცია შინამეურნეობის მმართველი. მაკროეკონომიკურ დონეზე სამუშაოს გენდერული დანაწილება, გენდერულად მოტივირებული სამუშაოს ანაზღაურების წარმოება, გადანყვეტილების მიღებისა და ეკონომიკური ძალაუფლების გენდერული ასპექტები მთავარ სააზროვნო პოსტულატებს წამოადგენს ფემინისტური პოლიტიკური ეკონომიკისთვის. მიკროეკონომიკურ დონეზე, ფემინისტური ხედვა კონცენტრირდება ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ ეკონომიკურ აქტივობაზე, რაც ასევე, შინამეურნეობის ეკონომიკურ აქტივობებსაც მოიცავს. ამ დონეზე სამუშაოს გენდერული დანაწილება, როლები და მოვალეობები, რესურსებზე ხელმისაწვდომობა და გადანყვეტილების მიღების პროცესი მთავარი საკვლევი არეალია. ბოლო, მეზოეკონომიკურ დონეზე კი, მთავარია საკანონმდებლო ბაზა, ნორმების და წესების ერთობლიობა, რომელიც მონაწილეობას და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს¹⁸

კიდევ უფრო მეტი სიზუსტისათვის, საჭიროა, უფრო დეტალურად განვმარტოთ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობა:

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ნიშნავს:

- 1. შინაგან ძალას (Power from Within):** ცოდნას, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, უფლებების შეგრძნებას, თვითშეფასებას და თვითრწმენას, რათა ინდივიდმა ცვლილებები განახორციელოს საკუთარ ცხოვრებაში (მათ შორის ცოდნის შექმნის უნარი სამსახურის თუ ახლად დაწყებული ბიზნესისათვის).
- 2. შესაძლებლობას (Power to):** შესაძლებლობა, მიიღონ ეკონომიკური გადანყვეტილები შინამეურნეობაში, თემსა და ადგილობრივ ეკონომიკაში, და იყვნენ ჩართული არა მხოლოდ ისეთ სფეროებში, რომლებიც ტრადიციულად არის მიჩნეული ქალების სამოქმედო/საქმიანობის სივრცედ, არამედ ისეთ სფეროებში, რომლებსაც, როგორც წესი, მამაკაცებს მიაკუთვნებენ.
- 3. ძალაუფლებას (Power Over):** ფინანსური, მატერიალური და ცოდნაზე დაფუძნებულ აქტივებზე ხელმისაწვდომობა და კონტროლი/მართვის შესაძლებლობა, მათ შორის დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა და სხვა შემოსავლის წყაროსთან დაკავშირებული აქტივობები.

17 Golla A. et al; *Understanding and Measuring Women's Economic Empowerment: Definition, Framework and Indicators*. International Center for Research on Women (ICRW) 2011.

18 Riley M.; *A Feminist Political Economic Framework*, Center of Concern. March 2008. Accessed: [<https://www.coc.org/files/Riley%20-%20FPE-0.pdf>] Also see: Pr. Kabeer N. *Women's Economic Empowerment and Inclusive Growth: Labour Markets and Enterprise Development*. SIG Working Paper 2012/1, UK's Department for International Development (DFID) and the International Development Research Centre (IDRC). Pg. 7 Accessed: [<https://www.idrc.ca/sites/default/files/sp/Documents%20EN/NK-WEE-Concept-Paper.pdf>]

4. ძალას (Power With): შესაძლებლობა, ორგანიზება გაუწიონ თავიანთ თავს და განავრცონ ეკონომიკური აქტივობები და უფლებები¹⁹.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროცესის კომპლექსურობას ისიც ემატება, რომ სხვადასხვა შემადგენელ შრეებთან ერთად, მრავალი შემადგენელი ელემენტია, რომელიც პროცესში ჩართულმა აქტორებმა უნდა გაითვალისწინონ და რომლის გარეშეც მდგრადი შედეგები ვერ მიიღწევა. ესენია:

- სამართლებრივი, მარეგულირებელი, პოლიტიკური ჩარჩო;
- განათლება, უნარების განვითარება და გადამზადება;
- გენდერული სოციალური ნორმები;
- საკუთრების, აქტივების და ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა;
- ხარისხიან, სრულფასოვან ანაზღაურებად სამსახურზე ხელმისაწვდომობა
- სამუშაო ბაზრის თავისებურებები;
- სოციალური დაცვა;
- კოლექტიური ქმედება და ლიდერობა;
- აუნაზღაურებელი შრომის ტვირთზე ყურადღების გამახვილება;
- ფისკალური პოლიტიკა²⁰.

გამომდინარე იქიდან, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების უზრუნველყოფა გენდერული თანასწორობის გზაზე, ქალთა პოლიტიკურ გაძლიერებასთან ერთად მნიშვნელოვან ნიშნულს წარმოადგენს, დადგა საჭიროება, შეგვეჯამებინა და ერთგვარად მიმოგვეხილა საქართველოში დაგროვებული გამოცდილება ამ მიმართულებით.

სტატისტიკიდან და გენდერული თანასწორობის შემფასებელი სხვადასხვა ინდექსიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ქალი მკვეთრად უთანასწორო მდგომარეობაშია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ უთანასწორობას განაპირობებს, აძლიერებს და კვებავს ქვეყნის კულტურული, სოციალური, რელიგიური ნორმები. გენდერული უთანასწორობის და მისი უმძიმესი შედეგის – ქალთა მიმართ ძალადობის – დაძლევა თითქმის შეუძლებელია ეკონომიკური გაძლიერების გარეშე. საკითხის სწორედ ასეთი მნიშვნელობის გამო, საჭიროდ მივიჩნიეთ, შეგვესწავლა, როგორია საქართველოს პოლიტიკა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით და რა ინიციატივები ხორციელდება ამ მიმართულებით.

19 Hunt A & Samman E.; *Women's Economic Empowerment. Navigating Enablers and Constraints*. Overseas Development Institute, 2016 September. Pg 9. Also see: VeneKlasen L & Miller V. *Power and Empowerment*. PLA Notes, 2002. 43: Pg. 49-42. Accessed: [<http://pubs.iied.org/pdfs/G01985.pdf>]

20 Hunt A & Samman E.; *Women's Economic Empowerment. Navigating Enablers and Constraints*. Overseas Development Institute, 2016 September. Pg. 12

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ფორმულირების ხელშეწყობა საქართველოში.

კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნის მისაღწევად, კვლევამ შემდეგი ამოცანები დაისახა:

- ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული ინიციატივების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა;
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით განხორციელებული ინიციატივების ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა;
- საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის მიმოხილვა შერჩეული ინდიკატორების მიხედვით და მთავრობისათვის რეკომენდაციების მიწოდება;
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მსოფლიო/რეგიონის საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა თვისებრივი ხაისათისაა. კვლევის მიზნის და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის სხვადასხვა ელემენტები. სამაგიდო კვლევის, ასევე საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბდა კვლევის მიზნები, ამოცანები და სამიზნე ჯგუფი. ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები კვლევის სამიზნე ჯგუფთან, ხოლო მეორადი წყაროების ანალიზისას, მოხდა სამიზნე ჯგუფის და მის მიერ განხორციელებული ინიციატივების შესახებ ძირითადი რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება და შეჯამება.

კვლევის არეალი

კვლევაში დასმული ამოცანების მისაღწევად, კვლევა შეეხო სამ სექტორს – საჯაროს, არა-სამთავრობოს და კორპორატიულ სექტორს, რომელთა როლიც არსებითია ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაში. უფრო კონკრეტულად კი, კვლევა სამი ძირითადი მიმართულებით ჩატარდა. ესენია:

1. სახელმწიფო მექანიზმების, კანონმდებლობის და პოლიტიკის კვლევა გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ჭრილში;
2. სხვადასხვა დონორის მიერ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით დაფინანსებული პროექტების შეფასება;
3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით, კორპორატიულ სექტორში განხორციელებული პოლიტიკის კვლევა.

შერჩევა

კვლევის პირველ ეტაპზე, საქართველოში ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მომუშავე ექსპერტები და ანალიტიკოსებისგან, შედგა სამუშაო ჯგუფი, რომელთანაც აქტიურ კონსულტაციასა და ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრნობით, კვლევის მიზნებისთვის, ქალთა ეკონომიკური განვითარების ძირითად მახასიათებლებად მივიჩნიეთ შემდეგი კრიტერიუმები:

- სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა;
- ქონებაზე ხელმისაწვდომობა: კანონები, რომელიც იცავს ქალთა საკუთრების უფლებებს; კანონების გამოყენების პრაქტიკა;
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობა (კრედიტები, სესხები);
- განათლებაზე ხელმისაწვდომობა: განათლების დონე; პროფესიული განვითარების შესაძლებლობები; ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა;
- შემოსავლებზე ხელმისაწვდომობა: მატერიალური და ფინანსური სახსრების ზრდა; შემოსავლების სტაბილურობის გაუმჯობესება;
- დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა: სამსახურის მოძებნის უნარები; ფორმალურ ეკონომიკაში ჩართვის შესაძლებლობები; სამუშაო პირობები; ანაზღაურება;
- ხელმისაწვდომობა მენარმეობაზე: მცირე და მსხვილ საწარმოებში ქალ ლიდერთა წილი; ქალი დამწყები მენარმის (სტარტაფერების) წილი; ქალებისთვის გამოყოფილი გრანტები, საწარმოში ქალის როლი და რეალური ფუნქცია მოვალეობები;
- კარიერულ ზრდაზე ხელმისაწვდომობა;
- ცხოვრებით კმაყოფილება: თვითშეფასება, თავდაჯერებულობა, თავისუფალი დროის ზრდა;
- სოციო-კულტურული ბარიერები: გენდერული ნორმები; ქალის როლი ეკონომიკაში; ქალის, როგორც მენარმის/ფერმერისადმი დამოკიდებულება.

შერჩეული ინიციატივები ამ ჩამონათვალიდან რომელიმე ერთ ან რამდენიმე მახასიათებელზე არის ორიენტირებული.

საველე სამუშაოები

შემდგომ, კვლევა სამი მიმართულებით წარიმართა. ქვემოთ აღწერილია თითოეული სამიზნე ჯგუფის პოლიტიკისა და ინიციატივების კვლევისას გამოყენებული მეთოდოლოგია და მიდგომა.

1. **გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ქრილში სახელმწიფო მექანიზმების, კანონმდებლობის და პოლიტიკის კვლევისას**, გაანალიზდა საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკური, სტრატეგიული დოკუმენტები. გამოვლინდა ის უწყებები, რომლებიც მთავარი აქტორები არიან ან უნდა იყვნენ ქალთა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას. ესენია: მართვის საკანონმდებლო დონეზე – გენდერული თანასწორობის საბჭო, აღმასრულებელ დონეზე – პრემიერ-მინისტრის ადამიანის უფლებათა და გენდერულ თანასწორობის საკითხებში მრჩეველის აპარატი, ომბუდსმენის ოფისში არსებული გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, და ბოლო შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი. შესაბამის უწყებებთან პირველადი კომუნიკაციისას, პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებთან სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა. რადგანაც სახელმწიფოს არ გააჩნია ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული ცალკეული პროგრამა, შევისწავლეთ ის პროგრამები, რომელთა ელემენტებიც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას მოიაზრებდა. კერძოდ: „ანარმოე საქართველოში“, „კოოპერატივების განვითარების პროგრამა“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამები და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამები. ჩატარდა ინტერვიუები ამ პროგრამების წარმომადგენლებთან და ასევე, გამოვითხოვეთ ამავე ინიციატივების გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები. კვლევის ამ სეგმენტში საჯარო რეესტრის სააგენტოსგან გამოთხოვნილ იქნა საქართველოში ქალთა მიერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფლობის მონაცემები.
2. **სხვადასხვა დონორის მიერ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით დაფინანსებული პროექტების შეფასებისას**, სამაგიდო კვლევაზე დაყრდნობით, გამოვლინდა 2006-2016 წელს

განხორციელებული ის პროექტები, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ჩვენი შედეგინილი სია დონორებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ 20-მდე ინიციატივას მოიცავს. სიაში მოხვდა ყველა ის პროგრამა, რომელზეც საჯარო ინფორმაცია მოიპოვება შესაბამისი ორგანიზაციის ვებგვერდზე. დამუშავდა დონორთა საკოორდინაციო საბჭოს ბაზა, ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაფუკავშირდით დონორ ორგანიზაციებს, ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს და გამოვითხოვეთ მათ მიერ ბოლო ათ წელიწადში განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი.

პროექტების მაქსიმალურად სრულყოფილი სიის შედგენის შემდეგ, თითოეული პროექტის ირგვლივ შეკრებილი მონაცემები დახარისხდა და სისტემატიზდა. ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული პროექტების შერჩევისათვის, ასევე, გამოყენებულ იქნა „თოვლის გუნდის პრინციპი“, რათა სრულად მოგვეცვა რელევანტური პროექტები. სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარდა თითოეული პროექტის წარმომადგენელთან, ზოგ შემთხვევაში ეს იყო თავად დამფინანსებელი საერთაშორისო ორგანიზაცია, ზოგ შემთხვევაში კი – პროექტის განმახორციელებელი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. ჩვენი მიზანი იყო, პროექტების უმეტესობის შემთხვევაში შევხვედროდით როგორც დონორს, ასევე განმახორციელებელ ორგანიზაციას, თუმცა, ეს ყველა პროგრამასთან მიმართებაში ვერ მოხერხდა.

სახელმწიფო პოლიტიკის და დონორების მიერ განხორციელებული პროგრამების კვლევის მომდევნო ეტაპი კი უშუალოდ ბენეფიციარებთან ინტერვიუს გულისხმობს. ეს ინტერვიუები ჩატარდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და თითოეული პროგრამიდან შევხვდით ერთ ან ორ ბენეფიციარს. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ინდივიდი რამდენიმე პროექტის ბენეფიციარი იყო. შესაბამისად, მასთან ინტერვიუში ვფარავდით რამდენიმე პროგრამას ერთად.

საერთო ჯამში, კვლევის ორივე მიმართულებით ჩატარდა 31 სიღრმისეული ინტერვიუ, აქედან 22 ინტერვიუ შედგა სახელმწიფო და დონორთა პროგრამების წარმომადგენლებთან და სამთავრობო პოლიტიკის ფორმირებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან, ხოლო 9 ინტერვიუ ჩატარდა მათი პროგრამის მოსარგებლე, გრანტორ ბენეფიციარებთან.

3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით კერძო სექტორში განხორციელებული პოლიტიკის კვლევა, სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებული მიდგომით ჩატარდა. გაანალიზდა კერძო სექტორის მთავარი დამსაქმებლების მიერ ქალთა გაძლიერების კუთხით გატარებული პოლიტიკა. კვლევამ მოიცვა როგორც სამაგიდე კვლევა, ისე – საველე სამუშაოები, გამოკითხვის სახით. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს როგორც კომერციული კომპანიებმა, ისე ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოში კერძო სექტორში ქალების გაძლიერებას.

კვლევის სამიზნედ, არჩეულ იქნა კომერციული კომპანიები შემდეგი დარგებიდან:

1. მრეწველობა (17.1%)
2. ვაჭრობა (16.3%)
3. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10.1%)
4. სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (9.3%)
5. მშენებლობა (8.3%)
6. ოპერაციები უძრავი ქონებით (6.6%)
7. ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (5.8%)
8. საფინანსო დარგი

დარგების შერჩევა მოხდა საქართველოს მთლიან პროდუქტში შეტანილი წვლილის მიხედვით. ზემოთ აღნიშნულ დარგებს ყველაზე დიდი წვლილი შეაქვთ საქართველოს ეკონომიკაში (ფრჩხილებში მითითებულია მშპ-ში მათი წილი. წყარო: საქსტატი, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი, 2016). კვლევის სამიზნე კომპანიები შეირჩა მასშტაბის და ცნობადობის მიხედვით. რაც შეეხება კერძო სექტორში ქალთა გაძლიერების ხელშეწყობ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა მილენიუმ ჩელენჯ საქართველოს შესაბამისი

მიმართულების წარმომადგენელთან, ასევე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენელთან.

ამ სამი მიმართულებით მუშაობის შედეგად, საბოლოოდ მივიღეთ ერთიანი მონაცემთა ბაზა საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში განხორციელებული ინიციატივების შესახებ, რომლებიც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მუშაობდნენ. მოხდა საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენა, გამოირკვა, თუ რომელ სამიზნე ჯგუფთან რა აქტივობა არის ყველაზე რელევანტური და ძირითადად რა ტიპის პროექტებზე მუშაობდნენ ორგანიზაციათა უმრავლესობა. ასევე, მიმოვიხილეთ საერთაშორისო პრაქტიკა. არსებული მონაცემის შეჯერების საფუძველზე, შემუშავდა სტრატეგია და რეკომენდაციები კვლევის სამიზნე თითოეული ჯგუფისთვის, თუ როგორ უნდა მოხდეს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების უზრუნველყოფა და პოლიტიკის დაგეგმვა.

კვლევის შედეგები

სახელმწიფო მეთაურობა, კანონმდებლობა და პოლიტიკა გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გააქტიურების ჭრილში

ინსტიტუციური მექანიზმები

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება თანმიმდევრულად, თუმცა ნელი ტემპით მიმდინარეობდა. საკანონმდებლო კუთხით გენდერული თანასწორობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით და 2010 წელს მიღებული კანონით გენდერული თანასწორობის შესახებ²¹, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. საკანონმდებლო ორგანოში გენდერული თანასწორობის საბჭოს (ფუნქციონირებს 2004 წლიდან) მიზანია გენდერული თანასწორობის მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის შექმნა, შესაბამისი სტრატეგიების განხილვა და დამტკიცება, აგრეთვე ცნობიერების ამაღლება და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება. საბჭომ მონაწილეობა მიიღო “საქართველოში გენდერული თანასწორობის განხორციელების პოლიტიკის ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის” შემუშავებაში, რომლის მესამე ნაწილში მოცემულია ეკონომიკის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებათა ნუსხა. კერძოდ, ეკონომიკურ პოლიტიკასა და დასაქმებაში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება, რაც გამოიხატება საჯარო და კერძო სექტორში დასაქმების გენდერული ანალიზის ჩატარებასა და “შესაძლებლობების ფარგლებში” პროფესიულ სასწავლებლებში ქალების ჩართულობის ხელშეწყობაში. დოკუმენტში ვერ ვხვდებით უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრის საშუალებას, რადგანაც ქალებისათვის “არატრადიციული” სპეციალობების დაუფლება უნდა ნახალისდეს ჯერ კიდევ საშუალო საგანმანათლებლო დონეზე. რა თქმა უნდა, პროფესიულ განათლებასაც აქვს დიდი მნიშვნელობა²². დასაქმების ბაზარზე დასაქმებულთა უმრავლესობა უმაღლესი განათლებით კვალიფიცირდება, უნივერსიტეტებში კი იკვეთება ტენდენციები ე. წ. „კაცური“ და „ქალური“ სპეციალობების დიფერენცირების მხრივ. თუ გადავხედავთ დონორთა და სახელმწიფოს აქტივობებს, გენდერული ბიუჯეტირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა ბოლო წლების განმავლობაში. გენდერული თანასწორობის საბჭოს ეგიდით, ჩატარდა კვლევა “2016 წლის საქართველოს ბიუჯეტის გენდერული ანალიზი”, რომელშიც თავმოყრილია იმ ინსტიტუციურ თუ საკანონმდებლო მექანიზმთა ერთობლიობა, რომელიც გენდერულად დაბალანსებული პოლიტიკის წარმოებას უწყობს ხელს.

აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, აღსანიშნავია პრემიერ-მინისტრის მრჩევლის პოსტი ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, რომელიც გენდერული თანასწორობის საკითხებს და ქალთა მიმართ ძალადობას კურირებს. ეს ერთგვარი დამხმარე უფლება-მოვალეობები იყო ადამიანის უფლებათა სამდივნოს შემადგენლობაში, რომელსაც ასევე თან ახლავს უწყებათმორისი საბჭო ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ საბჭო გარდაიქმნა მუდმივმოქმედ კომისიად, რომელშიც აღმასრულებელი ხელისუფლების კაბინეტის ყველა წარმომადგენელი შედის. თითოეულ სამინისტროში დანიშნულია გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საკონტაქტო პირი, ხოლო მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე ითავსებს/კურირებს აღნიშნულ საკითხს.

რაც შეეხება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის ოფისში არსებობს გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც მონიტორინგს უწევს გენდერული თანასწორობის მხრივ არსებულ სიტუაციას, აქვეყნებს პერიოდულ ანგარიშებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ასევე, თავდაცვის სამინისტროში, არსებობს გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის პოზიცია, რომელიც მონიტორინგს უწევს თავდაცვის

21 საქართველოს პარლამენტი; კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 26 მარტი 2010. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624]

22 საქართველოს პარლამენტი. საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა. 24 იანვარი 2014. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2235622]

სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიას. დევნილთა განსახლების სამინისტრომ 2016 წელს შეიმუშავა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც 2017 წელს მინისტრის გენდერული მრჩევლის პოსტის შექმნას ითვალისწინებს და ტერიტორიული ორგანოს დონეზე გენდერული საკონტაქტო პირის დანიშნავს. ეკონომიკური გაძლიერების მხრივ, გენდერული საკონტაქტო პირები ასევე გამოყოფილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შრომისა და ჯანდაცვის სამინისტროში.

შიდა ინსტიტუციური მოწყობის მიმოხილვიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს გააჩნია ის მინიმალური მექანიზმები, რითიც გენდერული დისკრიმინაცია და ეკონომიკური ძალადობა შეიძლება აღმოფხვრას, თუმცა, ამასთანავე, საინტერესოა, რამდენად ეფექტურია ეს ინსტიტუტები პრაქტიკაში, და არის თუ არა ქალთა გაძლიერებაზე მიმართული მუშაობა კოორდინირებული. აქვე განვიხილავთ საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს და მათი განხორციელების დინამიკასა თუ ნებას.

საერთაშორისო ვალდებულებები

როდესაც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე და გენდერულ თანასწორობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ამ მიმართულებით განეული ძალისხმევა. კერძოდ, გაეროს სააგენტოები (UNDP, UN Women, UNFPA), მსოფლიო ბანკი (World Bank), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ოქსფამი/ბრიჯ (Oxfam/BRIDGE), ევროკავშირი (EU) და სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციები, რომლებიც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საერთაშორისო დღის წესრიგს ქმნიან. თუმცა, უნდა გამოვყოთ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (Sustainable Development Goals) მიხედვით განერილი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპები და მათი უზრუნველყოფაც. 2015 წელს, მსოფლიოს 193 ქვეყანა მდგრადი განვითარების 17 პრინციპზე შეთანხმდა. მათ შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნებში გენდერულ თანასწორობის მიღწევას. გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების მეხუთე მიზანს წარმოადგენს, რომლის 5.5 პუნქტი გულისხმობს ქალთა სრულ და ეფექტურ ჩართულობას და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას გადანეტილებების მიღების ყველა დონეზე მმართველი პოზიციების დასაკავებლად, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და საჯარო სივრცეში. მისი გაზომვა ორი ინდიკატორით ხდება: ქალთა მიერ პარლამენტში ან ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში ადგილების მოპოვებით და მენეჯერულ პოზიციებზე ქალთა რაოდენობით. ასევე, პუნქტი 5.A მიზნად ისახავს რეფორმების გატარებას, რათა ქალებს თანაბარი უფლებები მიენიჭოს ეკონომიკურ რესურსებზე, ასევე ხელმისაწვდომობა და განკარგვის უფლება მიწის ან სხვა სახის ქონების, ფინანსური სერვისის, მემკვიდრეობის და ბუნებრივი რესურსების განკარგვის მიზნით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ამ მიზნის შესრულების კრიტერიუმად აღებულია: სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მფლობელთა ან/და მასზე უფლების მქონეთა შორის ქალთა წილი, ფლობის უფლების ტიპის მიხედვით. ასევე, მიზანი 5B მოუწოდებს ქალთა ჩართულობის გაზრდას ტექნოლოგიის, განსაკუთრებით ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენებაში, ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, საქართველომ მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაციონალიზაციის ნებაყოფლობითი პროცესი უკვე დაიწყო და იღებს შესაბამის ვალდებულებებს. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ინდიკატორების ნაციონალიზაცია პოლიტიკაზე აისახება. ნაციონალიზაციის გეგმის პირველადი ვერსიის წარდგენა 2016 წლის ივლისში მოხდა²³.

რაც შეეხება საქართველოს მიერ აღებულ სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს, 2005 წელს ხელმოწერილი „ევროპის სოციალური ქარტია“ სავალდებულოს ხდის საქართველოსთვის ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას, როგორცაა: ქალთა და მამაკაცთა მიერ თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების მიღება²⁴, ასევე მეძუძური დედების სპეციალური საჭიროებების აღიარება. თუმცა, ევროპის სოციალური ქარტიის ყველა მუხლი და პუნქტი საქართველოსთვის არ არის სავალდებულო. აქვე უნდა აღინიშნოს გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (Convention on Elimination of all

23 United Nations. *Preliminary version of Nationalized SDGs Georgia*. 2016. Accessible: [<https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/10683Annex%20-Preliminary%20version%20of%20Nationalized%20SDGs%20Georgia.pdf>]

24 *ევროპის სოციალური ქარტია*, სტრასბურგი 3 V 1996. მუხლი 4, პუნქტი სამი. ხელმისაწვდომია: [<http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1199.pdf>]

forms of discrimination against women-CEDAW) და ბეიჯინგის დეკლარაცია და პლატფორმა (Beijing declaration and platform for action – PFA). საქართველო ბეიჯინგის პლატფორმის წევრია და ასევე რატიფიცირებული აქვს CEDAW კონვენცია.

CEDAW ის მიერ 2014 წელს საქართველოსათვის მიმართული რეკომენდაციებიდან, აღსანიშნავია, რომ კომისია აღიარებს საქართველოს მიღწევებს, როგორც არის შრომის კოდექსის ცვლილება ქალთა სამუშაო პირობები გაუმჯობესების მიზნით და ოჯახში ძალადობის კუთხით კანონმდებლობის გამკაცრება. თუმცა, არსებობს საკითხები, რომელიც გადაწყვეტას საჭიროებს. მაგალითად, საკანონმდებლო ჩანაწერების არსებობის მიუხედავად, პრობლემაა თანასწორობის უზრუნველყოფი მექანიზმების არაეფექტური მუშაობა და საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე, აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმებისათვის გამოყოფილი ფინანსური თუ ადმინისტრაციული რესურსების სიმწირე. კომიტეტი ასევე აღნიშნავს დროებითი და სპეციალური ზომების არარსებობას, როგორცაა კვოტები, ასევე დროებითი ზომები მარგინალიზებული და დაუცველი ქალების: სოფლად მცხოვრები ქალების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი, ასაკოვანი ქალების და შშმ ქალების მიმართ. როგორც CEDAW აღნიშნავს, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ასევე საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების წინააღმდეგ, ოჯახური ძალადობის აღმოსაფხვრელად ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბებისთვის, სოფლად მცხოვრები ქალების რესურსებთან ხელმისაწვდომობისა და STEM საგნებში გოგონათა და ქალთა მონაწილეობის კუთხით²⁵.

რაც შეეხება შრომით ურთიერთობებს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO-International Labour Organization) მონაცემებით, საქართველოს რატიფიცირებული აქვს ყველა ფუნდამენტური კონვენცია, თუმცა, არარატიფიცირებული კონვენციების მაჩვენებელი 63-ს აღწევს. ამ ჩამონათვალში კი შედის ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანი „ოჯახში მშრომელთა კონვენცია“ (Domestic Worker’s Convention), რომელიც 2013 წელს შევიდა ძალაში და მნიშვნელოვანი იარაღია ქალთა საოჯახო შრომის აღიარებისათვის²⁶.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ორგანიზაციები გამოყოფენ კანონების იმპლემენტაციის მექანიზმების სისუსტეს ქვეყანაში, ისევე, როგორც საზოგადოებაში გაბატონებული გენდერული სტერეოტიპების დამარცხების აუცილებლობას. საქართველოს დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის წარმატებული ქვეყნებისგან სწორედ ამ კუთხით წარმატების არარსებობა განასხვავებს, რადგანაც როგორც დანართ #2-ში იხილავთ, თითქმის ყველა ის ინსტიტუციური მექანიზმი თუ საკანონმდებლო ნორმა, რაც ლიგვასა და სლოვენისა გააჩნია, საქართველოსაც აქვს, თუმცა კომპლექსური მიდგომის არარსებობის პირობებში, საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმები არეფექტური ხდება.

სამთავრობო პოლიტიკა

რაც შეეხება სამთავრობო სტრატეგიულ დოკუმენტებს, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი 2014 წელს შემუშავებული საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020-ია, რომელიც მალევე, 2016 წელს, ჩანაცვლდა ახალი ე. წ. მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმით „თავისუფლება სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა“. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს მიღებული სტრატეგია გენდერულად სტერილური იყო, სადაც, გენდერული უთანასწორობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ეკონომიკურ ძალადობაზე, ნახსენები საერთოდ არ იყო. თუმცა, ამ დოკუმენტისგან განსხვავებით, 2016 წელს მიღებული სამთავრობო პროგრამა მეტად ინკლუზიურია და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. იგი ადგენს: „განხორციელება ქმედითი ღონისძიებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში, და გადაწყვეტილების მიღების დონეზე, გენდერული თანასწორობის დასაცავად. უზრუნველყოფილი იქნება სწრაფი და ქმედითი რეაგირება გენდერული თანასწორობის დარღვევის თითოეულ ფაქტზე. ხელისუფლება ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის

25 CEDAW; *Concluding Observations on the fourth and fifth periodic reports of Georgia*, 26 June 2014. Accessed: [<http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=14787&LangID=E>]

26 International Labour Organization (ILO); *Up to date protocols and conventions not ratified by Georgia*. September 2017 Accessed: [<http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:11210:0::NO:11210:P11210-COUNTRY-ID:102639>]

საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას²⁷. სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების მთავარ ამოსავალ ნერტილად ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას მოიაზრებს, რაც ქვეყნის განვითარებაში ადამიანური რესურსები მაქსიმალურად გამოყენებას გულისხმობს. როგორც სტრატეგიული დოკუმენტი, ოთხპუნქტიანი გეგმა წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა, მთავარი კრიტიკა მაინც დოკუმენტში არსებული დათქმების და მიზნების შესრულების ეფექტურ მექანიზმებზე მოდის. **ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების კუთხით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მინიჭება აუცილებელია, რადგანაც სახელმწიფოს მიერ ადამიანური რესურსების ეფექტური გამოყენება ვერ მოხდება, თუ წლიდან წლამდე ეკონომიკურად არააქტიური და დაუსაქმებელი მოსახლეობის უმეტესობა ქალი იქნება.**

რაც შეეხება სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტებს, გენდერული მიდგომა მეტნაკლებად გამოყენებულია „საქართველოს ადამიანის უფლებათა სტრატეგია 2014-2020-ში“. სტრატეგია საუბრობს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებზე, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა საკითხში ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით. დოკუმენტი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ოჯახში ძალადობაზე და ქალთა უფლებების დაცვაზე, რომლის მისაღწევი ამოცანებიდან მხოლოდ ერთი ეხება პოლიტიკურ გაძლიერებას და არის ნახსენები ეკონომიკური გაძლიერება²⁸.

ასევე, მიმოვიხილეთ საქართველოს ეკონომიკაში და მომიჯნავე სფეროებში მიმდინარე და დაგეგმილ პროცესებს შემდეგი დოკუმენტები:

- რეგიონული განვითარების სტრატეგიები: გურია, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, 2015-2020;
- სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020.

შესწავლილ იქნა თითოეული დოკუმენტი. ქვემოთ მოცემულია თითოეული დოკუმენტის მოკლე შეფასება:

- **რეგიონული განვითარების სტრატეგიები** (გურია, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი): განვითარების სტრატეგიების უმეტესობა (გარდა სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლისა) მოიცავს ნაწილს: „გენდერული მაჩვენებლები“, სადაც ზედაპირულად გაანალიზებულია ქალების მონაწილეობა რეგიონის ცხოვრებაში და აღნიშნულია, რომ ქალების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი პრობლემას წარმოადგენს და საჭიროა ნაბიჯების გადადგმა ამ კუთხით.

სტრატეგიების ნაწილია რეგიონების სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასება. დოკუმენტში გამოვლენილ სუსტ მხარეებს შორის აღნიშნულია „გენდერული დისბალანსი საჯარო და კერძო სექტორში“.

სტრატეგიებით განსაზღვრულია რეგიონების მთავარი მიზნები 2017-2021 წლებისთვის. ამ მიზნებს შორის არის „მედიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარებისა და გენდერული უთანასწორობის შემცირების უზრუნველყოფა“, ხოლო მიზნის მიღწევისთვის შემდეგი ამოცანაა განსაზღვრული: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

- **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია:** მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიაში შედარებით მეტად არის წინ წამოწეული ქალების ეკონომიკური გაძლიერების საკითხი. სტრატეგიის თანახმად, „ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია ქალთა მენარმეობის გაძლიერება და ხელშეწყობა“. მიუხედავად ამისა, სტრატეგიის ხუთი პრიორიტეტული მიმართულებიდან (სტრატეგიული მიმართულება 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამენარმეო გარემოს გაუმჯობესება; სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; სტრატეგიული მიმარ-

27 საქართველოს მთავრობა; თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა-სამთავრობო პროგრამა 2016-2020. ხელმისაწვდომია: [<http://mrtdi.gov.ge/sites/default/files/samtavrobo-programa-2016-2020-tavisupleba-scrapi-ganvitareba-ketildgeoba.pdf>]

28 საქართველოს პარლამენტი; საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2014-2020. ხელმისაწვდომია: [[http://gov.ge/files/428-51453-705840-Strategy-GEO\(1\).pdf](http://gov.ge/files/428-51453-705840-Strategy-GEO(1).pdf)]

თულება 3: მცირე და საშუალო მენარმეობის უნარების განვითარება და სამენარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო სანარმოთა ინტერნაციონალიზაცია; სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა) მხოლოდ ერთშია (მცირე და საშუალო მენარმეობის უნარების განვითარების და სამენარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა) გათვალისწინებული ქალების გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებები. ეს ღონისძიებები განერილია პრიორიტეტულ ამოცანაში: „პრიორიტეტული ქმედება 3.9: ქალთა მენარმეობის ნახალისება. ქალთა მენარმეობის ხელშეწყობის და ბიზნეს საქმიანობაში ქალების ჩართულობის მიზნით, განხორციელდება ნაკლოვანებათა შეფასება და საჭიროებათა ანალიზი. ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, შემუშავდება შესაბამისი ღონისძიებები ქალთა მენარმეობის მხარდასაჭერად. ასევე, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით და მონაწილეობით, ჩამოყალიბდება პლატფორმა, რომლის მიზანი იქნება დიალოგი და ქალთა მენარმეობაში ჩართულობის გააქტიურების ხელშეწყობა. ხელი შეეწყობა ქალთა მონაწილეობას სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, მათ შორის, პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ რეგიონებში მიკრო და მცირე მენარმეობის განვითარების კომპონენტში და ინოვაციების ხელშეწყობის პროექტებში“. ამ პრიორიტეტული ქმედების შესრულებაზე პასუხისმგებლები არიან „მენარმეობის განვითარების სააგენტო“ და „ტექნოლოგიების და ინოვაციების სააგენტო“.

- **საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, 2015-2020:** სოფლის მეურნეობის სტრატეგიაში ქალების გაძლიერება მხოლოდ დასკვნით ნაწილშია აღნიშნული. „სტრატეგიის განხორციელების პროცესში, ასევე, შეგროვდება ინფორმაცია გენდერულ ძრილში შემდგომში დეტალური ანალიზის ჩასატარებლად, რაც საჭირო იქნება ისეთი პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც ხელს შეუწყობს ქალების ჩართულობას სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში. შემუშავდება სპეციალური პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც განისაზღვრება გენდერული თანასწორობის, უმცირესობების, ხანდაზმულების, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობის, ნაკლებად განვითარებული რეგიონების და მონყვლადი ჯგუფების საჭიროებები“.
- **სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020:** სოფლის განვითარების სტრატეგიაში სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერების აუცილებლობა დასახულია მიზნად და სტრატეგიულ სამი სტრატეგიული ამოცანიდან ერთ-ერთი, კერძოდ: სოციალური პირობები და ცხოვრების დონე მოიცავს სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების ჩართულობას ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში. თუმცა, პირველ სტრატეგიულ მიზანში, სადაც სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციაზეა საუბარი, არ არის ნახსენები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საჭიროება, და მათი მეტად ჩართულობის აუცილებლობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკის დოკუმენტებს შორის მხოლოდ ერთი (მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია) განსაზღვრავს ამოცანების და პასუხისმგებელი პირების დონეზე ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საჭირო ქმედებებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ სტრატეგიაშიც, რომელიც 5 პრიორიტეტისგან შედგება, მხოლოდ ერთ პრიორიტეტშია განერილი ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საჭირო ქმედებები. ხოლო პრიორიტეტულ მიმართულებებში, როგორებიც არის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ინოვაცია და კვლევები, საერთოდ უგულებელყოფილია ეს საკითხი. ეს განსაკუთრებით არასახარბიელოა იმ ფონზე, როდესაც ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის არსებითია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და სტერეოტიპული სფეროებიდან მაღალმემოსავლიან სფეროებში გადანაცვლება. ასევე, ხაზგასასმელია სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიებში ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საჭირო კომპონენტის არარსებობა მაშინ, როდესაც სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკურად გააქტიურება მწვავე საკითხია.

სახელმწიფო პროექტებში ქალთა ჩართულობა

2006 წლიდან 2016 წლამდე საკვლევ პერიოდში სახელმწიფოს არ განუხორციელებია პროექტი, სადაც გაცხადებული მიზანი ქალთა ეკონომიკური გაძლიერება იქნებოდა. თუმცა, შესაბამის სამინისტროების დაქვემდებარებაში შემავალი ორი სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროექტებში,


ქალთა ჩართულობის გაზრდა და ეკონომიკური აქტივობა პრიორიტეტული იყო. კერძოდ, ესენია: „ანარმოე საქართველოში“ და კოოპერატივების განვითარების პროგრამა. შესაბამისად, ამ ორ პროექტს ქვემოთ ვრცლად მიმოვიხილავთ.

ანარმოე საქართველოში

პროექტს „ანარმოე საქართველოში“ 2014 წელს ჩაეყარა საფუძველი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თაოსნობით. პროგრამა მიმართულია ნარმოების განვითარებისა და ნახალისებისკენ, მისი მთავარი მიზანი კი მენარმეების მხარდაჭერა და ზოგადად მენარმეობის განვითარებაა საქართველოში. პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს: ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, უძრავი ქონებით უზრუნველყოფა და საკონსულტაციო მომსახურება²⁹. შესაბამისად, სააგენტო 5 000, 10 000 და 15 000 ლარის ოდენობით გრანტებს გასცემს მენარმეებზე და ასევე, მათ ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს. პროგრამას გააჩნია უფრო მსხვილი ინდუსტრიული ელემენტი, რომელშიც უძრავი ქონებით უზრუნველყოფაც შედის და ამ კომპონენტს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო კურირებს. „ანარმოე საქართველოში“ ნარმომადგენლის განცხადებით, დღეისათვის სულ პროგრამამ დააფინანსა 3205 ბიზნეს იდეა, შესაბამისად, დაფარა დაახლოებით 4900 ბენეფიციარი/ინდივიდი. ტექნიკური დახმარება გაენია და გადამზადდა 8880 ინდივიდს. პროექტი სამ ეტაპად მიმდინარეობდა. სააგენტომ პირველივე წელს აიღო ქალ მენარმეთა ხელშეწყობის ვალდებულება, რაც გულისხმობდა იმას, რომ 2015 წელს, პროექტის პირველი ეტაპზე, გრანტის მიმღებთა სრული რაოდენობის მინიმუმ 20% იყო ქალი იქნებოდა ბენეფიციარი, 2016 ში კი – 30%. რაც შეეხება ბენეფიციართა გადანაწილებას რეგიონების მიხედვით, სოფლად მცხოვრებ ქალებთან ყველაზე მეტად წარმოიშვა პრობლემები:

„ცოტა რთული არის სოფლად ჩართული ქალების ამბავში, სტერეოტიპებიდან გამომდინარეალობათ, მაგრამ... რაც გვაჩვენა პროექტმა, არის ის, რომ რეალურად დღეს, უფრო კულტურული თავისებურებები არის ხშირ შემთხვევაში დამაბრკოლებელი. და რატომ ეხლა. განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, ჰეტეროგენური მოსახლეობა სადაც ცხოვრობს, ეთნიკური უმცირესობის ტრადიციებიდან გამომდინარე. ტრენინგი როდესაც იყო, ხშირად მეუღლე მოყვებოდა ტრენინგზე დასასწრებად და ა.შ. იყო ეგეთი პრეცედენტები, დაფიქსირებულა და ალბათ, მათი აქტიურობის შემზღვეველი ფაქტორი არი, კლასიკური გაგებით რაც არის ხოლმე“ (ინტერვიუ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელთან).


აღნიშნული დასტურდება ეკონომიკის სამინისტროდან მონოდებული ინფორმაციითაც, სადაც „ანარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, ქალ ბენეფიციართა მონაწილეობა რეგიონების მიხედვით არის ჩაშლილი. პროგრამისთვის ბენეფიციარების შერჩევის პროცესში, ტრენინგი პირველ ეტაპს წარმოადგენს, რომლის შემდეგაც, მონაწილეები წერენ ბიზნეს გეგმას და მხოლოდ შემდეგ, კონკურსის საფუძველზე, გაიცემა გრანტები.



სქემა # 5 „ანარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში დატრენინგებულ ქალთა წილი რეგიონების მიხედვით (წყარო: ეკონომიკის სამინისტრო)

²⁹ ანარმოე საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: [<http://qartuli.ge/geo/sub/about-program/program-details/>]

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ტრეინინგის ეტაპზე ქალთა ჩართულობა ყველაზე მაღალი რაჭა-ქვემო სვანეთსა და კახეთშია, ქალებზე ყველაზე დაბალი წილი კი სამცხე-ჯავახეთში მოდის. რაც შეეხება პროგრამის მეორე ეტაპს, უშუალოდ საგრანტო პროგრამას, ქალ მონაწილეთა წილი, რეგიონების მიხედვით, ასე გამოიყურება:



სქემა #6 აწარმოე საქართველოს მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში ბენეფიციარ ქალთა წილი რეგიონების მიხედვით (წყარო: ეკონომიკის სამინისტრო)

ტენდენცია არსებითად არ იცვლება ბენეფიციარების მხრივაც. აქაც ბენეფიციართა წილში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთს აქვს და კახეთი, სამეგრელო და სვანეთი ლიდერობენ.

საერთო ჯამში, ორივე წლის მონაცემებით, მცირე და საშუალო ტიპის საწარმოებისათვის გაცემული გრანტების ბენეფიციართა 40% ქალია, რაც რიცხობრივად არ არის ურიგო შედეგი, თუმცა, არსებობს თვისებრივი განზომილება, სადაც იკვეთება, რომ ქალების პრივილეგირებულობა მთავრდება მცირე და საშუალო ბიზნესის ფარგლებში. როცა საქმე მიდგება დიდი მოცულობის გრანტებსა და საწარმოებზე, იქ ქალები თითქმის საერთოდ არ არიან წარმოდგენილი. კერძოდ აწარმოე საქართველოს ინდუსტრიული და სასოფლო სამეურნეო კომპონენტი მოიცავს მხოლოდ რამდენიმე ათეულ საწარმოს, აქედან ჩვენ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან გამოვითხოვეთ სასოფლო სამეურნეო კომპონენტში დაფინანსებულ საწარმოთა ჩამონათვალი. **17 დაფინანსებული საწარმოს საჯარო რეესტრის დოკუმენტების ანალიზიდან დადგინდა, რომ დირექტორთა საბჭოს და დამფუძნებელთა სრული უმრავლესობა კაცია.** მხოლოდ ორი ქალი ფიქსირდება მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე, რაც ქალების წილს-0.05% ით განსაზღვრავს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალთა ეკონომიკური აქტივობა, ისევე, როგორც პოლიტიკური წარმომადგენლობითობა ვერ ცდება მენეჯმენტის საშუალო რგოლს, მაღალ პოზიციებზე კი კაცების სრული დომინირება შეინიშნება.

კოოპერატივების განვითარების პროგრამა


სოფლად მცხოვრებ ქალთა გაძლიერება ერთ-ერთი გამონწვევაა სახელმწიფოსთვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2012-2022 წლის სტრატეგია პირველი მსგავსი სახის დოკუმენტი იყო, სადაც სოფლის მეურნეობის სისტემური ხარვეზების აღმოფხვრისკენ მიმართული ნაბიჯები გაიწერა³⁰. მაშინ ხელისფულებამ სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის ხელშეწყობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად დასახა, რასაც მოჰყვა 2013 წელს მიღებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონის მიღება. კანონში გაწერილი იყო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შექმნა, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქნებოდა (სსიპ)³¹. სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობებში შედის

30 საქართველოს მთავრობა; საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2012-2022 წლები. ხელმისაწვდომია: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2280820]

31 საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ. 2013 წელი. ხელმისაწვდომია: [http://acda.gov.ge/res/docs/2016010616174218682.pdf]


სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის სტატუსის მინიჭება და მათთვის კონსულტაციის განწევა სამართლებრივ, ინსტიტუციურ, წარმოების და სხვა საკითხებში. პირველ კოოპერატივს სტატუსი მიენიჭა 2014 წლის 7 მარტს, სულ ამ დროისათვის კი 1538 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივია რეგისტრირებული, რომელშიც 13677 პირია გაერთიანებული, აქედან კი 3674 ქალია.

კოოპერატივების შემადგენლობა



სქემა #7: კოოპერატივების გენდერული ანალიზი (წყარო: კოოპერატივების განვითარების სააგენტო)

3674 ქალიდან კოოპერატივის თავმჯდომარე მხოლოდ 307 ქალია, დანარჩენი ქალები მხოლოდ მეპაიეები არიან. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოოპერატივების პროგრამაში ჩართულ ქალთაგან მხოლოდ 8% უჭირავს წამყვანი პოზიცია. ასევე, კოოპერატივების საერთო რაოდენობის მხოლოდ 20%-ს ხელმძღვანელობს ქალი.



■ ქალი მეპაიე ■ კოოპერატივის თავმჯდომარე ქალი

სქემა #8: კოოპერატივების გენდერული ანალიზი (წყარო: კოოპერატივების განვითარების სააგენტო)

რაც შეეხება ისეთ კოოპერატივებს, სადაც ყველა წევრი ქალია, ასეთი 61 კოოპერატივია დარეგისტრირებული, რომელშიც 389 ქალი ერთიანდება. აღსანიშნავია ფაქტი, რომ ქალთა კოოპერატივების მდგრადობა შესაძლოა პრობლემური საკითხი იყოს, რადგანაც კოოპერატივების განვითარების სააგენტოსგან მიღებული თავდაპირველი მონაცემებით, 81 კოოპერატივი იყო, სადაც ყველა წევრს ქალი შეადგენდა, თუმცა, სიაში აღმოჩენილი ხარვეზების შედეგად, განახლებული სია მოგვანოდეს შემცირებული კოოპერატივების რაოდენობით. სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, მონაცემები მუდმივად ცვლადია. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ENPARD-ის და სხვა კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობი, სხვა პროგრამების შედეგად, მოხდა ქალთა

კოოპერატივების წახალისება, თუმცა, ერთჯერად ეფექტს მიღმა, ძნელია შედეგის შენარჩუნება.

2015 წლიდან, კოოპერატივების განვითარების სააგენტომ აქტიურად დაიწყო სხვადასხვა მიმართულებით სახელმწიფო პროგრამების ამუშავება. ერთ-ერთი პირველი კოოპერატივი, რომელიც დაფინანსდა, იყო 500 მეპაიესგან³² შემდგარი თხილის გადამამუშავებელი საწარმო სამეგრელოში, სოფელ დარჩელში. კოოპერატივის მეპაიეთა დაახლოებით 34%-ს ქალები შეადგენდნენ. მეორე მნიშვნელოვანი დარგი არის მეფუტკრეობა, რომელიც ასევე ქალების ჩართულობის მხრივ ყველაზე პოპულარულ მიმართულებას წარმოადგენს. პროგრამაში ჩადებულია წინაპირობა, რომ თუ დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ყველა წევრი ქალია, მაშინ მათ სკები გადაეცემათ 20% თანადაფინანსების პირობით, 30%-ის ნაცვლად. რაც შეეხება სხვა დარგებს, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ქალთა ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა ვერ მოხერხდა:

„საგრანტო პროგრამები, რაც ცხადდება, რაც იყო წევრებთან დაკავშირებით მიზნული. ანუ, სქესის მიხედვით იდენტიფიცირება სადაც შეიძლებოდა იქ ჩავდეთ, ერთი იყო ვთქვათ, თხილის პროგრამა და მეორე იყო მეფუტკრეობის პროგრამა. სხვა პროგრამები, რომლებსაც ვახორციელებთ არის რძის პროგრამა და იქ არის საქონლის რაოდენობაზე მიზნული დაფინანსება და კიდევ ერთი პროგრამა არის მევენახეობა და იქ ვენახის ფართობზეა მიზნული დაფინანსება. ერთ შემთხვევაში გადაეცემა რძის მიმღებ გადამამუშავებელი საწარმო აღჭურვილობა და მეორე შემთხვევაში – ყურძნის გადამამუშავებისთვის საჭირო აღჭურვილობა. ანუ იქ სქესის მიხედვით იდენტიფიცირებას ვერ მოვახდენდით, იმიტომ რომ ის იყო საქონელზე მიზნული, იქიყო – მინის რაოდენობაზე მიზნული“ (ინტერვიუ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელთან).

ერთ-ერთი რესპონდენტი, ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ ქალების დაინტერესება კოოპერატივების პროგრამის მიმართ უფრო დიდი იყო, ვიდრე კაცების. ეს განსხვავება ძირითადად თვისებრივ ნაწილზე მოდიოდა და არა – რაოდენობის მხრივ, როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან ვხედავთ. გამოიკვეთა, რომ ქალები უფრო მიდრეკილნი იყვნენ, ეთანამშრომლათ კოოპერატივის ფარგლებში, ვიდრე კაცები, როგორც იგი აცხადებს, ქალების აქტივობა გაიზარდა პროექტების მონაწილეობის კუთხითაც. ქალთა მზარდი რაოდენობა გამოთქვამს სურვილს, ჩაერთოს კონკურსში.

„ჩვენ რაც დავინწყეთ ევროკავშირთან ერთად, აქტიურად მხარდაჭერა კოოპერატივების, ძალიან საინტერესო ტენდენცია ჩანდა, რომ ქალბატონები იყვნენ ბევრად უფრო აქტიურები. მათ უფრო მალე დაინახეს სიკეთე ერთად მუშაობის და აქედან მიღებული შედეგის, ვიდრე ვთქვათ, მამაკაცებმა. ცოტა კონსერვატორული მიდგომა გამოავლინეს და უფრო მეტი მუშაობა დაგვჭირდა მათთან“ (ინტერვიუ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელთან).

სოფლად მცხოვრები ქალები, როგორც ორმაგად მოწყვლადი ჯგუფი, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. თუმცა, დღესდღეობით, სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით არ არსებობს. „წარმოე საქართველოში“ გარდა, არც ერთი სხვა სახელმწიფო პროგრამა რომელიც ეკონომიკურ გაძლიერებაზეა კონცენტრირებული, სოფლად მცხოვრები ქალების ჩართულობას პრიორიტეტულად არ განიხილავს. თავად სოფლის მეურნეობის სამინისტროს არც ერთ პროგრამაში მსგავსი კრიტერიუმი არ გვხვდება.

„ნებისმიერი პროგრამა, ნებისმიერი პროექტი, რომელიც სამინისტროს მიერ მუშავდება, არის თანაბრად ხელმისაწვდომი და მცირე გამოწერის კი არ არის, ვთქვათ, გენდერული კუთხით გათვალისწინებული“ (ინტერვიუ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელთან).

როდესაც ქალების ჩართულობის ნაკლებობაზე და მათ საჭიროებებზე საუბრობენ, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ:

„პირველ რიგში, უნარები ყველას არა აქვს, შეიძლება ყველას უნდოდეს ბიზნესის წამოწყება, მაგრამ ამისი უნარი ყველას არ გააჩნდეს ხო? ანუ, შესაბამისად ცოდნაც უნდა გარკვეული. იმიტომ არის თვითონ SME³³ სტრატეგიის სამოქმედო გეგმაშიც ერთ-ერთი პუნქტი women entrepreneurship ანუ, რაც ნიშნავს რომ, იმისათვის რომ ქალთა

32 კოოპერატივის წევრი

33 ავტორის შენიშვნა: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020

მენარმეობის წამოწყება მოხდეს, ეს უნდა იყოს რაღაცაზე დაფუძნებული, ხომ? აი, educational skill-ები რაც არის, უნარები რაც არის ხო? ეს ძაან მნიშვნელოვანი ნაწილი არის....აი, ეს არის დიდი პრობლემა, ...ბუნებრივია.... ეს აქტივობებიც ჩადებულია და ამ მხრივაც მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა და იგეგმება კიდევაც.“ (ინტერვიუ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელთან).

როგორც ჩანს, ეკონომიკის სამინისტრო განათლების და ბიზნეს უნარების განვითარებაზე აკეთებს მთავარ აქცენტს, მაშინ, როცა ინტერვიუში არც ერთი რესპონდენტი არ აღნიშნავს განათლებაში სპეციალობების გენდერულ სეგრეგაციას და ამ კუთხით მუშაობის საჭიროებას. თუმცა, როცა განათლებასა და განსაკუთრების STEM დარგებში ქალების გააქტიურებას ეხება საქმე, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავისი პროექტებით ცდილობს, გააუმჯობესოს მდგომარეობა.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

რაც შეეხება ეკონომიკის სამინისტროს, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მიერ განხორციელებულ მეორე დიდ პროექტს – „სტარტაპ საქართველოს“ – არ გააჩნია კონკრეტული სტრატეგია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით. თუმცა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიაში, ის არის „პრიორიტეტული ქმედება 3.9 – ქალთა მენარმეობის წახალისებაზე“ პასუხისმგებელი უწყება. სააგენტოს ქალების გაძლიერებისთვის ჰქონდა ერთეული პროექტები – მაგალითად, ჰაკათონი ქალი პროგრამისთვის. ასევე, ატარებენ კამპანიებსა და საჯარო შეხვედრებს, რომ დაამარცხონ სტერეოტიპი, რომ ტექნოლოგიები/ინოვაციები ქალებისთვის შეუფერებელი დარგებია. ასევე, ჰქონდათ სპეციალური ტრენინგი ქალი და სოციალური მენარმეებისთვის „აქციე უსარგებლო სასარგებლოდ“.

ქვემოთ მოცემულია სააგენტოს პროგრამებში მონაწილეების გენდერული განაწილება (წყარო: ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო):

სააგენტოს მიერ 2017 წლის იანვარი-აპრილის ჩათვლით განხორციელებული პროექტების ბენეფიციარების 37%-ს ქალები წარმოადგენს. კერძოდ,

- მიკროგრანტების პროგრამის ფარგლებში 20 დაფინანსებული ბენეფიციარიდან, 3 (15%) ქალია.
- სამრეწველო ლაბორატორიაში შემოსული 100 განაცხადიდან, 41 (41%) ქალს ეკუთვნის.
- ბიზნეს ინკუბატორში 8 გუნდია 32 წევრით, საიდანაც 4 (12%) ქალია. ბიზნეს ინკუბატორის სამივე ნაკადის ფარგლებში მონაწილეობდა 85 ადამიანი, საიდანაც 14 (16.5%) იყო ქალი.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების გადამზადების პროგრამის ფარგლებში სულ გადამზადებული 174 ტრენერიდან 36 (20%) ქალია, ხოლო ტრენერების მიერ, მოცემულ პერიოდში, გადამზადებული 507 ბენეფიციარიდან 200 (40%) ქალია.
- რეგიონებში ჩატარებული ტრენინგის „ახალგაზრდები ინოვაციური განვითარებისთვის“ 250 ბენეფიციარიდან 150 (60%) ქალია.

ინოვაციების ხელშემწყობი კონკურსების 249 მონაწილიდან, 80 (32%) ქალია.

აღსანიშნავია ტენდენცია, რომ ქალთა მონაწილეობა უფრო დაბალია მაღალტექნოლოგიურ პროექტებში, ვიდრე ტრადიციულ დარგებში წამოწყებულ სტარტაპებში. ასევე, ქალთა ჩართულობა ბიზნესში მხოლოდ მიკრო და მცირე მენარმეთა დონეზე განიხილება და არავითარი ყურადღება არ ექცევა ინდუსტრიულ კომპონენტებს.

ქალები სოფლად – სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტები

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტების (განმახორციელებელი სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო) გენდერულ სტატისტიკას, სააგენტომ მოგვანოდა ყველა იმ პროექტის გენდერული ბალანსი, სადაც მონაწილეობას ფიზიკური პირები იღებდნენ.

მონაცემები ვერ გვექნება „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოებს თანადაფინანსების პროექტსა“ და „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამაში“, რადგანაც ამ პროექტებში მონაწილეობას მხოლოდ იურიდიული პირები იღებენ.

პროექტის/პროგრამის დასახელება	სულ	მამრობითი სქესის ბენეფიციარი	მდედრობით სქესის ბენეფიციარი	მდედრობითი სქესის ბენეფიციარის %
შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი	16 631	15 412	1 219	7.3
აგროდაზღვევის პროგრამა	41 631	30 778	10 853	26.1
პროგრამა „დანერგე მომავალი“	404	330	74	18.3
სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამა (IFAD)	52	43	9	17.3
მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი	767 020	508 339	258 681	33.7

სქემა #9 სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტების/პროგრამების ბენეფიციართა გენდერული ბალანსი. ფიზიკური პირები და ინდივიდუალური მენარმეები (წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების განვითარების სააგენტო).

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქალი ბენეფიციარების ყველაზე დიდი ჩართულობით გამოირჩევა მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, სადაც ქალი ბენეფიციარების რაოდენობა არის 33.7%. ყველაზე დაბალი მონაწილეობის მაჩვენებელი შელავათიანი აგროკრედიტის პროექტს აქვს, სადაც ქალები ბენეფიციართა მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 7.3%-ს შეადგენენ. აღსანიშნავია, რომ აგროდაზღვევის პროგრამაში 41631 ბენეფიციარიდან მხოლოდ 10853 ქალია, ხოლო პროგრამის „დანერგე მომავალში“ ბენეფიციართა 18.3% ქალია. დაახლოებით იგივე მაჩვენებლით ხასიათდება სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამა (IFAD), სადაც 52 ბენეფიციარიდან მხოლოდ 9 იყო ქალი. უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიერ მონოდებული მონაცემები არასრულია და არ მოიცავს სეზონურ პროგრამებს, როგორცაა: მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა და არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის პროგრამა³⁴.

რაც შეეხება სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროექტებს/პროგრამებში მონაწილე ქალ ბენეფიციართა (ფიზიკური პირები და ინდივიდუალური მენარმეები) განაწილებას რეგიონებს მიხედვით, შედეგები ასეთია:

რეგიონი	ქალი ბენეფიციარები
აჭარა	3 946
გურია	2 317
თბილისი	15
იმერეთი	377
კახეთის მხარე	2 751
მცხეთა-მთიანეთი	36
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	17
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1 441
სამცხე-ჯავახეთი	394
ქვემო ქართლი	336
შიდა ქართლი	525
სულ	12 155

სქემა #10 სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტებში მონაწილე ქალთა განაწილება რეგიონების მიხედვით. წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების განვითარების სააგენტო

³⁴ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, ოფიციალური ვებ-გვერდი: [http://apma.ge/projects/read/season-projects/57:child]

ასევე საინტერესოა პროექტების ბიუჯეტის და შესაბამისად მასშტაბურობის კორელაცია ქალთა ჩართულობასთან მიმართებაში.

#	სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტების/პროგრამების 2017 წლის ბიუჯეტი	ლარი
1	შელავათიანი აგროკრედიტი	47 000 000
2	აგროდაზღვევის პროექტი	7 000 000
3	პროგრამა „დანერგე მომავალი“	8 700 000
4	სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი	9 288 940
5	ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა	400 000
6	სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამა (IFAD)	2 700 000

შენიშვნა: „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ 2017 წელს აღარ განხორციელებულა.

**სქემა# 11 სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების ბიუჯეტი
წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების განვითარების სააგენტო**

ზემოთ მოყვანილი მონაცემების შეჯერებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთ-ერთი ყველაზე მცირე ბიუჯეტის პროექტში ქალების ჩართულობა ყველაზე მაღალია, როცა შელავათიანი აგროკრედიტის პროგრამაში, რომელსაც ყველაზე მსხვილი ბიუჯეტი აქვს – 47 მილიონი ლარის ოდენობით, ქალთა ჩართულობა მხოლოდ 7.3%-ს უტოლდება. ფერმერ ქალთა ასოციაციის თავმჯდომარე ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნის:

„დიდ ბიუჯეტიან პროექტში რომ მონაწილეობა მიიღოს, იქ არის თანადაფინანსების პროცენტი გადასახდელი. ეს არის 20 პროცენტი საკმაოდ მაღალი, რომელსაც ვერ შეძლებს ქალი, რომ გააკეთოს. პლიუს ამას იგივე აგრო კრედიტთან მიმართებაში. თუ მეორე, მესამე ეტაპის აგრო კრედიტს აიღებს მას უნდა ქონდეს საგირავნო ძალიან დიდი ქონება, რომელიც არ აქვს მას. ამიტომ ის ცდილობს რომ აიღოს მცირე გრანტი, რომელსაც არ სჭირდება ძირითადი ქონება და ვიღაც თავდებით ჭირდება ამ შემთხვევაში და ამით დამთავრ... ეს არის მიზეზი. ამიტომ ვამბობთ, რომ აუცილებელია, გადაიხედოს სახელმწიფო პროგრამები გენდერულ ჭრილში“ (საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტის ბენეფიციარი)

ჩვენი კვლევისთვის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქალთა მიერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფლობა იყო. შესაბამისად, ინფორმაცია გამოთხოვნილ იქნა საჯარო რეესტრის სამსახურისგან. შედეგად დადგინდა, რომ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთთა მფლობელი ფიზიკური პირების საერთო რაოდენობა 723 302-ს შეადგენს, საიდანაც 295 147 ქალია (40.8%). გაირკვა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოს დღემდე არ გააჩნია სრული ინფორმაცია. დაუზუსტებელი მინის საერთო ფართობი 219 015.71 ჰექტარია, საიდანაც ქალი 64 245,51 ჰექტარს ფლობს, რაც 29.3%-ს შეადგენს. დაზუსტებული მინის ფართობი 655 775.31, საიდანაც ქალი 283 782.97 ფლობს, შესაბამისად, 43.3%. ამ მონაცემების მიხედვით, ქალი რეალურად საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო სავარგულების ნახევარზე ცოტათი ნაკლებს ფლობს, რაც ქალთა ეკონომიკურ აქტივობასთან მიმართებაში არარეალისტური მონაცემია. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული სტატისტიკის რამდენიმე ნაკლი მდგომარეობს შემდეგში: სასოფლო-სამეურნეო სავარგული ძირითადად კომლის შემადგენლობაშია, ქორწინების შედეგად კი ქალი და კაცი ორივე მინის მესაკუთრედ ითვლება, ასევე გასათვალისწინებელია, რომ რეალური სარგებელი აღნიშნული მინიდან, მიუხედავად იმისა, რომ მას ქალი ფლობს, მამაკაცზე მოდის. სოფლად მცხოვრები ქალი სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობებში წარმმართველი/აგენტობის მფლობელი ნაკლებად არის, რაზეც მეტყველებს მონაცემები, რომ შინამეურნეობების ხელმძღვანელი ძირითად მამაკაცია. ჩვენ ასევე გამოვითხოვეთ მინის ფლობის რეგიონული სტატისტიკაც, რომელიც დანართშია მოცემული.

რადგანაც საჯარო რეესტრიდან სრულყოფილი ინფორმაცია ვერ მოვიპვეთ, ანალიზისასთვის საქსტატის მიერ 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა უნდა გამოვიყენოთ, საიდანაც ირკვევა, რომ სულ საქართველოში 639 963 ოჯახური მეურნეობაა, აქედან მხოლოდ 198 176 მეურნეობაა ქალი მეურნე. სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობაში სულ 1 138 333 ქალი ცხოვრობს. მათგან, 314 279 ქალი 25 წელზე ნაკლებსაა, დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კი თანაბრად არიან გადანაწილებულნი, მცირედი განსხვავებით, 45-54 ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც 163 313 ქალს შეადგენს³⁵. ასევე, მინის ფლობასთან დაკავშირებით სრულიად სხვა სურათი ფიქსირდება საქსტატის მონაცემებით. კერძოდ, 2016 წელს მეურნეობების 28.2%-ის მფლობელი ქალია. ხოლო, რაც შეეხება მეურნეობების სარგებლობაში არსებული მინის ფართობის განაწილებას სქესის მიხედვით, იჯარით აღებული მინის შემთხვევაში მხოლოდ 10% მფლობელია ქალი, ხოლო სულ (იჯარის ჩათვლით) მინის მხოლოდ 17%-ის მფლობელია ქალი³⁶.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე, ვასკენით, რომ სოფლად სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით არ არსებობს, ასევე მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს დროებითი და სპეციალური ზომების არარსებობა ქალთა გასაძლიერებლად. სახელმწიფოს არ გააჩნია ნება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება შეიტანოს პოლიტიკურ დღის წესრიგში. შესაბამისად, მისი პოლიტიკა გენდერულად სენსიტიური არ არის, განსაკუთრებით ეკონომიკური გაძლიერების კუთხით. სახელმწიფო ვერ ხედავს ქალის მიმართ ეკონომიკურ ძალადობას და აქედან გამომდინარე, პრევენციის მექანიზმების განხორციელებაც არ ხდება.

მთავარი მიგნებები

გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პოლიტიკის, კანონმდებლობის და მექანიზმების ანალიზის მთავარი მიგნებებია:

პოლიტიკის დოკუმენტები

- ქალების ეკონომიკურად გაძლიერება არ წარმოადგენს სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან საკითხს, რადგან ამ საკითხს არ განიხილავს თითქმის არც ერთი რელევანტური სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი;
- სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ჩანაწერები, უმეტესად, დაკავშირებულია პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებაში საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართულობასთან. ეს ხაზს უსვამს სახელმწიფოს ინდიფერენტულობას თემის მიმართ და საერთაშორისო ორგანიზაციების როლს თემის გააქტიურებაში.

კანონმდებლობა

- გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა დიდწილად შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას.

ინსტიტუციური მექანიზმები

- საქართველოში არსებობს გარკვეული უწყებები, რომელიც პასუხისმგებელია გენდერულ თანასწორობაზე. ეს უწყებები კარგად ჩამოყალიბებული, წინასწარ განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე ეფექტური ვერ იქნება და მათი საქმიანობა არაკოორდინირებული, წერტილოვანი და არასისტემური იქნება. ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა უარყოფით გავლენას ახდენს ამ უწყებების და გენდერულ საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო მოხელეების ძალაუფლებაზე, გადანყვეტილების მიღების პროცესში. ცხადია, რთულია, რაიმე შედეგების მიღწევა ნების, პოლიტიკისა და მანდატის არარსებობის პირობებში.
- სოფლად მცხოვრები ქალები, როგორც ორმაგად მონყვლადი ჯგუფი, განსაკუთრებულ

35 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014. ხელმისაწვდომია: [<http://census.ge/files/results/agriculture/Agricultural-Census-2014.pdf>]

36 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბაზა. გენდერული სტატისტიკა. pc-axis.geostat.ge

ყურადღებას საჭიროებს. სამწუხაროდ, დღესდღეობით სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით არ არსებობს. „ანარმოე საქართველოში“ გარდა, არც ერთი სხვა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ეკონომიკურ გაძლიერებაზეა კონცენტრირებული, სოფლად მცხოვრები ქალების ჩართულობას პრიორიტეტულად არ განიხილავს. თავად სოფლის მეურნეობის სამინისტროს არც ერთ პროგრამაში მსგავსი კრიტერიუმი არ გვხვდება.

ქალების ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობა, ტენდენცია

- ქალების ჩართვა ეკონომიკურ საქმიანობაში – სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ, ეკონომიკის მხარდამჭერ პროგრამებში – განსაკუთრებით რთულია სოფლად, სადაც მძლავრია ტრადიციული სტერეოტიპები;
- ქალები, უმეტეს შემთხვევაში, მონაწილეობენ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შემუშავებულ პროგრამებში. მათი მონაწილეობა რადიკალურად მცირდება მასშტაბურ ბიზნესსაქმიანობაში. ერთ-ერთი ყველაზე მცირე ბიუჯეტთან პროექტში ქალების ჩართულობა ყველაზე მაღალია, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამაში, რომელსაც ყველაზე მსხვილი ბიუჯეტი – 47 მილიონი ლარის აქვს, ქალთა ჩართულობა მხოლოდ 7.3%-ს უტოლდება.
- ქალების მონაწილეობა დაბალია მაღალტექნოლოგიურ დარგებში შექმნილ სტარტაპებში, ტრადიციულ დარგებთან შედარებით.
- ქალების ეკონომიკური აქტიურობა, ისევე, როგორც მათი წარმომადგენლობა გადანაცვეტილების მიღების პროცესში, ვერ ცდება მენეჯმენტის საშუალო დონეს და მაღალ პოზიციებზე კაცები არიან დომინანტები.
- სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციების პროექტებში სპეციალურად ქალების წამახალისებლად შექმნილი კომპონენტი დადებითად მოქმედებს პროექტში ქალების ჩართვაზე. მიუხედავად ამისა, რთულია ქალების ჩართულობის დონის შენარჩუნება. ეს ორ რამეზე მიაწინებს: 1) ქალები ასეთ პროგრამებში შესაძლოა მხოლოდ ფორმალურად, შემოთავაზებული ბენეფიტის მისაღებად მონაწილეობენ, ხოლო რეალური გადანაცვეტილებები მათ მიერ არ მიიღება; 2) იკვეთება პროგრამებში ქალების მონაწილეობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული ელემენტის არსებობის აუცილებლობა.
- ქალების მიერ მიწის ფლობა რეალურად არ განაპირობებს მათ ჩართულობას ეკონომიკურ საქმიანობაში. მიწის/ქონების ფლობა ქალების ეკონომიკურად გაძლიერების აუცილებელი წინაპირობაა, მაგრამ, ის არ არის საკმარისი, რომ დაძლეული იქნას გავრცელებული სოციო-კულტურული ნორმები.

სხვადასხვა დონორის მიერ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით დაფინანსებული პროექტები

გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად, საჭიროა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება და შესწავლა, რა პროექტები განახორციელეს მათ საქართველოში ამ მიმართულებით, რა შედეგები მოიტანა ამ პროექტებმა და რა მთავარი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ დონორების, განმახორციელებლების და ბენეფიციარების გამოცდილებიდან. კვლევამ მოიცვა 2006 წლიდან 2016 წლამდე განხორციელებული 20 პროექტი, სავსე სამუშაოების დროს შევხდით როგორც საერთაშორისო დონორებს, ასევე ადგილობრივ ორგანიზაციებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წელს და უფრო ადრეც, როცა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო ინსტიტუციური მექანიზმები ფაქტობრივად არარსებული იყო და ამ მხრივ არავითარი სტრატეგია თუ სამოქმედო გეგმა არ არსებობდა, საერთაშორისო სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით, საქართველოში ხორციელდებოდა ქალთა გაძლიერების პროექტები. ისინი ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად სოფლად მცხოვრები ქალების პრობლემებზე, მათ ეკონომიკურ გაძლიერებასა და ზოგადად საქართველოში ქალთა უფლებრივ საკითხებზე ფოკუსირდებოდნენ. შესაბამისად, უაღრესად საინტერესო იყო, კვლევის პროცესში გვენახა, თუ რაზე მუშაობდნენ ბოლო ათი წლის განმავლობაში არასამთავრობო სექტორში.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საწყისებთან

ჩვენი კვლევის დროითი ჩარჩოს ფარგლებში, პირველი პროექტი, რომელიც უშუალოდ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ეხებოდა, არის ფონდი „ტასოს“ მიერ 2008-2009 წლებში განხორციელებული საგრანტო პროექტი სოფლად მცხოვრები ქალებისათვის (დონორი – ფონდი ღია საზოგადოება საქართველო). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფონდმა ღია საზოგადოებამ სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა 2004 წლიდან დაიწყო და გრანტებს ყოველწლიურად გასცემდა. მაგალითისათვის, 2007 წელს გაცემულმა გრანტებმა 62 299 დოლარი შეადგინა და სულ 35 გრანტი გაიცა. საინტერესოა, თუ კერძოდ რა დარგები ფინანსდებოდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით ათი წლის წინ. ესენია: ჩურჩხელის წარმოება, მეფუტრკეობა, სათევზე მეურნეობა, საცხოვრი, მეფრინველეობა, ხალხური რენვის სახელოსნო, სამკერვალო, სასათბურე მეურნეობა, კომპიუტერული ცენტრი და სასტუმრო სახლი. შედარებისათვის, ჩვენი კვლევის არეალში მყოფი, 2014-2016 წლებში მიმდინარე სხვადასხვა პროექტების დაფინანსებული ეკონომიკური აქტივობის სფეროები მინდა მოვიყვანო: ხელნაკეთი სამკაულების დამზადება, თეჩაზე მუშაობა, მერძევეობა, მეფუტკრეობა, მეცხვარეობა და სხვა. ამით მინდა ხაზი გავუსვა ტენდენციას, რომ ქალთა ეკონომიკური აქტივობის არეალი ადრეც და ახლაც არ სცდება მცირე და საშუალო ბიზნესს. დიდ ინდუსტრიულ პროექტებში ქალთა მონაწილეობა კვლავ დაბალია. რესურსებზე წვდომა ქალებს კვლავ არ აქვთ და გრანტების უმეტესი ნაწილი ქალთა სიღარიბის პირობებში სასიცოხლო წყაროების ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად, რეკომენდირებულია ქართულ რეალობაში ბენეფიართან კონტაქტისას მდგრადობის შენარჩუნება, რათა იგი გაძლიერების ეტაპზე გადავიდეს და უშუალოდ უნარებსა და ცოდნის მოპოვებაზე იზრუნოს.

როცა მდგრადობაზე ვსაუბრობთ, უნდა გამოვკვეთოთ ერთი ფაქტი: კვლევის არეალში შემავალი პროექტების უმრავლესობა 2011-2016 წლებში ხორციელდებოდა, შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი თუ ბენეფიციარებთან მუდმივი კონტაქტს ინარჩუნებდნენ ეკონომიკური გაძლიერების მეტი ეფექტისათვის, 5-6 წელი შესაძლოა არ იყოს საკმარისი ეფექტური შედეგის მისაღწევად.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, მეორე, ყველაზე ადრეული პროექტი ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ იქნა განხორციელებული. პროექტის დამფინანსებელი გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UNIFEM) იყო და იგი გულისხმობდა აგვისტოს ომით დაზარალებული ქალების ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვას/რეინტეგრაციას. ბენეფიციარებს ჩაუტარდათ მენარჩეობის და ბიზნეს ტრენინგები, ასევე პროექტში გათვალისწინებული იყო მათთან კონსულტაციები. შედეგად,

შეიქმნა სახელმძღვანელო მენარმეთათვის „ქალი ბიზნესში“.

წლებთან ერთად, დონორების პროექტები ურბანული და ცენტრალური მუნიციპალური ადგილებიდან სოფლებში ინაცვლებდა და სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერებას ემსახურებოდა. იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფოსთვის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება პრიორიტეტს არ წარმოადგენს, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ძალისხმევით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქალებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, შემოსავლის წყარო გასჩენოდათ და პროდუქტი ეწარმოებინათ. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს სამი ყველაზე მსხვილი პროგრამა: ENPARD – ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, Alliances Lesser Caucasus Georgia (მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა) – შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სამ რეგიონში – ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში მეცხოველეობის სექტორის მდგრად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობასა და ხორცის, რძისა და თაფლის პროდუქტების სანარმოოს განვითარება-გაძლიერებას. მესამეა REAP-ამერიკის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც სოფლად წარმოების მრავალფეროვნების გაზრდას და ტექნიკურ დახმარებას გულისხმობს. სამივე პროექტს მრავალმილიონიანი ბიუჯეტი აქვს და თავისი სტრუქტურით კომპლექსური ხასიათისაა. რაც ყველაზე მთავარია, აქ ქალთა ჩართულობას განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროექტული დაგეგმარებისას რესურსების მობილიზების საჭიროებას.

ასევე, განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ის პროექტი, რომელიც შედარებით ახალი დაწყებულია, თუმცა მოიცავს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით საფინანსო სექტორთან თანამშრომლობას. მთელი პროექტი 100-მილიონი ლარის ტრანშს მოიცავს, რომელთაგან 10 მილიონი „ქალი ბიზნესში“ პროგრამისთვის გამოიყო. საქართველოს ბანკი ამ პროექტის ერთ-ერთი განმხორციელებელია, თუმცა, როგორც ერთ-ერთ ბენეფიციართან ინტერვიუში ირკვევა, რომ არახელსაყრელი პირობების გამო, ისინი არ გეგმავენ ამ სერვისით სარგებლობას:

„თქვენ რომ საქართველოს ბანკში გამოცხადებულია ქალთა, ქალებისთვის. თითქოს ქონება არ ჩაიდებოდა. მაგრამ მივედი რეალურად და შევეჯახე იმ მომენტს, რომ უნდა ჩადება. ქონება მომთხოვეს რა თქმა უნდა. თანხაზე. ნუ ახლა, 10 000 ლარზე ნაკლებს არც იძლევიან და 10 000-ს ზევით უკვე ქონება უნდა ჩაიდოს“ (სახელმწიფო და დონორთა პროგრამების ბენეფიციარი).

ჩვენ მიერ უკვე განხილული პროექტების გარდა, არსებობს სხვა განხორციელებული პროექტებიც, რომელიც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სხვადასხვა მიდგომით გამოირჩევა. სიცხადისათვის უნდა მოვიყვანოთ ყველა იმ პროექტის აქტივობა, რომლებსაც ეს პროგრამები ანხორციელებენ. ისინი რამდენიმე კატეგორიაში თავსდება:

- პირველია საგანმანათლებლო ელემენტი, რომლებიც ბიზნეს უნარების გადაცემას ემსახურება, იშვიათად – ახალი ცოდნის შექმნას;
- მეორე: კონსულტირების და მენტორინგის პროგრამა, რაც თითქმის ყველა პროგრამის ერთ-ერთი აქტივობა არის;
- მესამე – საგრანტო პროგრამა, სადაც გრანტების სიდიდე განსხვავდება ყველა პროექტის მიხედვით, თუმცა, იგი მაინც მცირე და საშუალო მენარმეობის კატეგორიაში თავსდება (გამონაკლისს წარმოადგენს ზემოთ გამოყოფილი სამი უმსხვილესი პროექტი).
- რამდენიმე პროექტში, ასევე, ჩადებულია ე. წ. „სათემო მობილიზების“ კომპონენტი, რაც ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად ქალების გააქტიურებას ემსახურება. ეს კომპონენტი ძირითადად ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების, ქალთა ოთახების თუ სოფლის სახლების შექმნის სახით ხორციელდება.

ნებისმიერი პროექტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სამიზნე ჯგუფი. ამ შემთხვევაში, ჩვენ მიერ ნაკვლევით პროექტების სამიზნე ჯგუფი საკმაოდ მრავალფეროვანია. აქაც შეიძლება კატეგორიზება:

- ქალებთან ერთად კაცები, როგორც სამიზნე ჯგუფი, რაც იშვიათ შემთხვევაში გვხვდება;
- იძულებით გადაადგილებული ქალები;
- სოციალურად დაუცველი, უმუშევარი, დაბალხელფასიანი, მარტოხელა დედები და ოჯახის მარჩენალი დედები;
- სოფლად მცხოვრები ქალები ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯგუფია;
- მაღალმთიან სოფლებში, სასაზღვრო რეგიონებსა და მცირემოსავლიან სასოფლო რეგიონებში მცხოვრები ქალები;
- შშმ ქალები და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები.

მსგავსი კატეგორიზება, რა თქმა უნდა, ბმამია პროექტის განხორციელების გეოგრაფიულ არეალთან, თუმცა, ისევე, როგორც სამიზნე ჯგუფი, პროექტის განხორციელების ადგილის არჩევასა მეტად ფართო კატეგორიებია გამოყენებული. როდესაც პროექტის წარმომადგენლებს ვეკითხებოდი პროექტის დასაწყისში საჭიროებების კვლევის ან საბაზისო კვლევის არსებობის შესახებ, რითიც პროექტის სამიზნე ჯგუფის და გოეგრაფიული არეალის განსაზღვრა ხდება, იყო შემთხვევები, როდესაც სამიზნე ჯგუფის განსაზღვრისას პირად კონტაქტებს ან ორგანიზაციის წინარე გამოცდილებას იშველიებდა, რაც ადასტურებს მსგავსი კვლევების არარსებობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბაზისო თუ საბოლოო კვლევის ჩატარება და პროექტის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი დამატებით ფინანსებთან არის დაკავშირებული, რაც მცირეიუფეტიან პროექტებში პრაქტიკულად გამორიცხავს მსგავსი კვლევების არსებობას.

„უბრალოდ რელევანტურობა ის იყო, რომ იმ წელს იყო დაწყებული ქალების ძალადობის კამპანია და იქ ერთ-ერთი ფაქტორი იყო ის, რომ ეკონომიკურად დამოუკიდებელი არ არის ქალი და ქალს არა აქვს არანაირი ტიპის შემოსავალი და მთლიანად დამოკიდებულია მამაკაცზე... და ამიტომ გამოვიდა იდეა, რომ ქალების ეკონომიკური გაძლიერება, რომ თავისი რალაცა გაუჩნდეთ, საკუთარი შემოსავალი, რაც შეიძლება უფრო ნაკლებად მოწყვლადს ხდიდეს მათ ძალადობისთვის“ (საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტების წარმომადგენელი).

„მიზანი იყო გარკვეულწილად შეცვლილი, მაგრამ ამ სახის ურთიერთობებზე ჩვენ ვმუშაობთ წლების განმავლობაში. ეს არ არის ახალი ინტერვენცია. ვმუშაობთ წლების განმავლობაში. იყო წინამდებარე პროექტები და ბელსაინ სიტუაცია ამ ინტერვენციისთვის ჩვენთვის დიდი ხნის ცნობილი იყო“ (საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტების წარმომადგენელი).

„იქ გვაქვს რესურსცენტრი, თავიდანვე, როდის იყო ეს არ მახსოვს, მაგრამ გადავწყვიტეთ რომ რალაცა გაგვეკეთებინა ამ სოფელში, თან აი, როცა მივედით და ხალხს დაველაპარაკეთ, ისეთი ტიპები არიან რა, ადვილად მოდიან ბევრ რალაცაზე. და მერე ეს needs assessment ჩატარდა მათთან ლაპარაკიდან გამომდინარე რა საჭიროებები აქვთ და რა შეიძლება გაკეთდეს“ (საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტების წარმომადგენელი).

თავად პროექტების მენეჯერების და დონორების გამოკითხვისას, გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომელსაც ორგანიზაციები ბენეფიციარებთან მუშაობისას აწყდებოდნენ. ეს პრობლემები ძირითადად ქალების აგენტობას უკავშირდებოდა. ორგანიზაციებს ხშირად საკმაოდ დიდი ძალისხმევის ფასად უჯდებოდათ ქალების დარწმუნება პროექტში მონაწილეობის შესახებ. საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტების წარმომადგენლებმა ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნეს:

„მთავარი პრობლემა, რასაც აწყდებოდნენ, იყო პრობლემა ქალების მობილიზების, იმიტომ რომ აი, მაგალითად განსაკუთრებით, ეს ტრენინგზე დასწრებისას და მე სულ ვურჩევდი, რომ მათთან შეთანხმებით დაეგეგმათ და იყო სულ, რომ აი მაგალითად, არ მოდიან“.

„სულ იყო ეს უნდობლობის განცდა, რომ ვილაცა კაცი, რომელიც ეპატიუება ამ ქალებს სადღაც, სად მიყავს ხო? პირველ ეტაპზე განსაკუთრებით, ძან გამიჭირდაო ამ ნდობის დამყარება ამ“.

ახალ რაღაცა სოფლებში, სადაც მანამდე არ იცნობდნენ და არ უმუშავიათ და ამიტომ ძაან დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა ხოლმე იმ მხრივ, რომ ნდობის თვალსაზრისით რა“.

დონორთა პროექტების წარმომადგენლები ასევე მოტივაციის ნაკლებობაზეც საუბრობდნენ:

„მოტივაციის ნაკლებობაც იყო, იმიტომ რომ არ იციან რაღაც, ამას ვერ უყურებენ როგორც ბიზნეს საქმიანობას. ზოგადად ახალი ამბავი არ არის, რომ თვითშეფასება ქალებს აქვთ დაცემული და რთულია მათი დარწმუნება, რომ რაღაცეების კეთება შეუძლიათ. თან როცა ეს უკავშირდება ფინანსურ და ბიზნესის საქმიანობას, იმიტომ რომ იქ არის ბრძოლად ოჯახთანაც, რომ ეს არ გამოგივა და ამიტომ ეს არ უნდა აკეთო და ბრძოლა არის საკუთარ თავთანაც, იმიტომ რომ თვითონ იცის რომ არასდროს არ უკეთებია და ეს პრობლემები ნამდვილად იყო“.

„ჩართულობა მათი მხრიდან არის ხოლმე ნაკლები, მთელი რიგი სხვადასხვა პრობლემა არის და რატომ არის ესე და რატომ ხდება, შეიძლება საერთოდ ნდობა არა აქვთ“.

ასევე კვლევისას გამოიკვეთა კაცების მიერ ქალებისთვის განკუთვნილი რესურსების მითვისების მცდელობის ფაქტები. ორგანიზაციები, თავის მხრივ, ცდილობენ, მსგავსი შემთხვევები თავიდან აიცილონ.

„იქ ერთი სოფელია, ენგურს გადაღმა, ქართული, საქართველოს ტერიტორია, იქ ცოტა გაგვამწარეს, იმიტომ, რომ კაცი იყო ვიღაცა სოფლის (თავი)... და არ გაათავისუფლა ეს ქალები, რომ რაც უნდოდათ ის ეკეთებინათ. ჰოდა ნუ წამოვედით იქიდან“.

„საერთოდ ეს ცნობილი ამბავია და არა მარტო ქართული ამბავია რა, რომ კაცები აიფარებენ წინ ქალებს და აკეთებენ პროექტებს“.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევა მნიშვნელოვანი აგურია საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შენების პროცესში, თუმცა, საჭიროა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდეთ და ქალებისათვის არატრადიციულ ეკონომიკურ დარგებში ჩართულობის გასაზრდელად და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალების რაოდენობის ზრდისათვის ვიბრძოლოთ.

ბენეფიციარების გამოცდილება

პროგრამის სამიზნე ჯგუფი, ბენეფიციარები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროცესში მთავარი ხარვეზების გამოსავლენად. შესაბამისად, მათი მოსაზრების გარეშე სრული სურათი არ გვექნება. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული ბენეფიციარების უმრავლესობა ჩვენს კვლევაში შემავალი პროექტებიდან რამდენიმეს მონაწილეა. ასე მაგალითად, პროექტების REAP-ის G4G-ის გრანტის მიმღები იყო ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პროექტის ბენეფიციარი და ამასთანავე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროკრედიტის პროექტის მონაწილე. მეორე შემთხვევაში, „ანარმოე საქართველოში“ ბენეფიციარი, G4G-ის, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პროექტის და „ელკანას“ საგრანტო პროექტის მონაწილე გახლდათ³⁷. ეს მნიშვნელოვანი ტენდენციაა, რაც ერთი მხრივ მიანიშნებს პროექტების ეფექტურობაზე ქალთა გაძლიერების საქმეში, მეორე მხრივ კი შესაძლოა, რესურსების გადანაწილების პრობლემასაც გვიჩვენებდეს. სანამ უშუალოდ კვლევის შედეგებს მიმოვიხილავთ, უნდა აღინიშნოს, რომ ბენეფიციარებზე გავლა ორმაგად გართულდა სახელმწიფო პროექტების შემთხვევაში, რადგანაც ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ იყო. თუმცა, ამასთანავე, მოლოდინის საპირისპიროდ, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტების წარმომადგენლებისგან ბენეფიციარების ინფორმაციის გამოთხოვნისას იყო გარკვეული ხარვეზები.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ ბენეფიციარები რამდენიმე პრობლემას გამოყოფენ, მათ შორის ერთ-ერთია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ბანკების მხრიდან არაკეთილსინდისიერი

37 ელკანას პროექტი რადგანაც 2017 წელს დაიწყო, ჩვენი კვლევის არეალში ვერ მოხვდა.

დამოკიდებულება. აქვე იკვეთება ბიზნეს საქმიანობასთან დამოკიდებულებაში ცნობიერების ამაღლების საჭიროებაც:

„არ მივსულვართ (ბანკში), იმიტომ რომ ვიცოდით რომ ჩვენ ბანკი არ მოგვცემდა. თავისთავად ქონებას ითხოვენ. მაგრამ არ მივსულვართ ჩვენ ვინაიდან ვიცოდით, რომ უარს გვეტყოდა“ (სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარი).

„ყველგან არის ფინანსებთან წვდომის პრობლემა რა, აი, მარა ფინანსებთან წვდომის პრობლემა არის გამონკვეული განათლების პრობლემით. შეგნება არ აქვთ ძალიან ბევრ ადამიანს. იძახის, რომ ამის ფული არა აქვს, იმის ფული არა აქვს და იმდენს ვერ აზროვნებ, რატომ არა გაქ. მუშაობა არ უნდა არავის. ეს ზოგადად ქალების პრობლემა არ არის, ზოგადი პრობლემაა რეგიონების“ (საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტის ბენეფიციარი).

ასევე, ბენეფიციარებში შეინიშნებოდა გენდერული სენსიტიურობის ნაკლებობა:

„შეიძლება, უფრო აუჩუყდეთ გული, რომ ქალი ვიყავი, ვიდრე რომ კაცი ვყოფილიყავი ამაზე პასუხი მე ვერ მექნება, მაგრამ იმედია რომ არ ქონდა ადგილი პოზიტიურ დისკრიმინაციას და მართლა ღირსი ვიყავი, არა მარტო იმიტომ რომ ქალი ვიყავი, აი, ჩემი პოზიცია ასეთია“ (საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტის ბენეფიციარი).

„ყოველ შემთხვევაში ის, რომ ბანკში ქალები... არ იძლევიან კრედიტს კი ბატონო. მეც არ მომცეს კრედიტი, მაგრამ ყველაზე ნაკლებად იმას ვაბრალებ, რომ ქალობის ან კაცობის ან რაღაცა იმის პრობლემაა. საერთოდ, საბანკო სექტორში, ახლა მე გასამართლებლად არ ვამბობ, ნამდვილად არ ჭირდებათ ჩემი გამართლება, მაგრამ ობიექტურობის თვალსაზრისით, ასეთი ცვლადი როგორცაა გენდერი არ არსებობს. ეს არის მიბმული უძრავ ქონებას, მილიონ სხვა რისკს, რომელიც ქალს და კაცს ერთნაირად ან აქვს, ან არა აქვს, ამიტომ ახლა ის რომ მე თავის დროზე, როცა ვინყებდი არ მომცეს კრედიტი, ნამდვილად ვერ დავაბრალებ გენდერს“ (საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტის ბენეფიციარი).

ბენეფიციარები თავიანთი ბიზნესის განვითარების გზაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინააღმდეგობად მათთვის მორგებული პროფესიული ტრენინგების ნაკლებობას და ტექნიკური ცოდნის ნაკლებობას ასახელებენ:

„გენდერის მიმართულებით ძალიან ბევრი ტრენინგი იყო და კიდევ ეხლა მე ვისურვებდი რომ ცოტა ნაკლები მექონოდა გენდერში და მეტი მექონოდა იმაში, რაც მე მეტად გამომადგებოდა პრაქტიკულ საქმიანობაში“ (საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტის ბენეფიციარი).

„როგორც კი ოდნავ არასტანდარტული საქმიანობა იქ ეჯახები იმას, რომ კვალიფიკაცია არ არსებობს და მეორე, რომ როგორც კი შეფუთვაა საჭირო რაღაც მანქანაა, დანადგარია საჭირო, რომელსაც არ იყენებს, ნუ ეგრევე ჩნდება იმის საჭიროება, რომ ეს ყველაფერი შეიძინო საზღვარგარეთ.“ (საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტის ბენეფიციარი).

„კვალიფიცირებული აგრონომი, კვალიფიცირებული ტიპი, რომელსაც კითხვას დაუსვამ და კვალიფიცირებულ პასუხს მიიღებ, იმას თავი რომ დაანებო, რომ ეხლა აიყვანო, დაიქირაო... შეიძლება ერთი იყოს და ისიც გაგლეჯვაზე, ან ის ერთიც არ იყოს“ (საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტის ბენეფიციარი).

როგორც ირკვევა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროცესში ბენეფიციარის საჭიროებების კვლევა ყველაზე მნიშვნელოვანი საწყისი ნერტილია, რის გარეშეც შეუძლებელია პროექტის სწორად დაგეგმვა.

საერთაშორისო მიდგომები და გამოცდილებები: ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროექტების დაგეგმვა:

რადგანაც დონორების პროექტთა ძირითადი პრობლემები და მიღწევები მიმოვიხილეთ, საინტერესოა, ასევე გავანალიზოთ, თუ ამ კუთხით რას გვთავაზობს საერთაშორისო პრაქტიკა. სამაგიდო კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მხოლოდ კაპიტალის მცირე რაოდენობით შედინება ვერ ზრდის ქალთა მიერ მართული საარსებო წყაროების შემომტან სანარმოებს. ბოსნია და ჰერცეგოვინაში დაფიქსირდა, რომ მიკრო სესხები არ იყო ეფექტური. აღმოჩნდა, რომ მიკრო სესხები უფრო ეფექტური კაცების მიერ მართული კომპანიების შემთხვევაშია, რადგანაც ქალებს უფრო მეტი წინაპირობები აქვთ, რომ ეს ფული სხვა მიზნებისთვის გამოიყენონ, რაც საქართველოს შემთხვევაში რელევანტური შეიძლება იყო, თუმცა, ამ ეტაპზე მონაცემებით არ დასტურდება ეს ჰიპოთეზა³⁸.

გადამზადების და სახელფასო სუბსიდიების პროგრამას პოლონეთში, რუმინეთში, რუსეთსა და სლოვაკეთში სხვადასხვა ეფექტი ჰქონდა. პოლონეთში და რუმინეთში პოზიტიური გავლენა მოახდინა ქალების დასაქმების შესაძლებლობებზე. თუმცა, იგივე პროგრამა არ იყო ეფექტური რუსეთში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ერთი და იგივე ტიპის ქვეყნებში მსგავს პროგრამებს შეიძლება სხვადასხვა ეფექტი/შედეგი ჰქონდეს³⁹. შესაბამისად, საქართველოში პროექტის დაგეგმვისას ქვეყნის პოლიტიკუს-ეკონომიკური და კულტურული სპეციფიკა უნდა იქნას გათვალისწინებული.

კვლევები აჩვენებს, რომ ერთი და იგივე სახის ინტერვენციას შესაძლოა სხვადასხვა შედეგი ჰქონდეს ბენეფიციარის ტიპის და მახასიათებლების მიხედვით. ეს განსაკუთრებით ეხება კაპიტალის მცირე შედინებას სესხების და გრანტების სახით, რომლებიც მუშაობს ღარიბ ქალებზე, მაგრამ ძალიან ღარიბი ქალებისთვის არაეფექტურია, თუ მხოლოდ ასეთი სახის დახმარება არის მიწოდებული. პროგრამის რაციონალური დაგეგმარება მეტად მნიშვნელოვანია წარმატებისათვის. მაგალითად, შესაძლოა კაპიტალის ან მასალის შესყიდვა ბიზნესისათვის დახმარების სახით და არა ფულის მიწოდება, რომ აიძულო ქალი, ბიზნესორიენტირებული გახდეს და მიღებული ფული სხვა საჭიროებებისთვის არ დახარჯოს.

ინტერვენციები და დახმარება ყველაზე უკეთ მუშაობს, თუ ქალს აქვს ეკონომიკური დამოუკიდებლობა ან ავტონომია და მცირე სოციალური შეზღუდვები. ავტონომია გულისხმობს იმას, რომ ქალებს შეუძლიათ, ფიზიკურად მობილურები იყვნენ და დამოუკიდებლად გადანყვეტილებები მიიღონ, ორივე მახასიათებელი კი წინაპირობაა ბიზნესში წარმატებისა. ავტონომია გარკვეულწილად ასოცირდება ქალის ოჯახურ სტატუსთან, ჰყავს თუ არა მას მამაკაცი პარტნიორი, რომელიც მის არჩევანს აკონტროლებს⁴⁰.

ყველაზე ეფექტური ინტერვენციები, ძირითადად, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სხვადასხვა არეალს ფარავს, მისი პროგრამული ნაწილიც მრავალფეროვანია, თუმცა, ნეპალის მაგალითიდან ჩანს, რომ ერთ კონკრეტულ პროგრამას, შესაძლოა, ბევრი სხვადასხვა მიმართულებით ჰქონდეს გავლენა. კერძოდ: ეფექტური შემნახველი ანგარიშების წარმოების პროგრამამ გავლენა მოახდინა ქალთა განათლებაზე, სამუშაოზე ხელმისაწვდომობასა და ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობაზე. ასევე, იგი გენდერული ნორმების ცვლილებების სტიმულატორიც გახდა.

38 Cutura J; Womens Economic Empowerment, Trends & Good Practices on Women's Entrepreneurship in the OSCE Region. December 2010. OSCE Secretariat.

39 Kluge J., Lehmann H.& Schmidt C.; *Active Labour Market Policies in Poland: Human Capital Enhancement, Stigmatization or Benefit Churning*. Journal of Comparative Economics. Volume 27. Issue 1, March 1999. Pg 61-89. Also see: Todd P; *How to Improve Women's Employability and Quality of Work in Developing and Transition Economics*. January 2013. University of Pennsylvania, United Nations Foundation. Pg. 20-23

40 Buvinic M. & Furst-Nichols R.; *Promoting Women's Economic Empowerment. What Works?*. World Bank Group. November 2014.

მთავარი მიგნებები

- საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების აქტივობების ტიპები იმეორებს ერთმანეთს, არ შეინიშნება მიდგომის მრავალფეროვნება.
- ხშირ შემთხვევაში, პროექტის სამიზნე ჯგუფი გენერალიზებულია და აქტივობები არ არის მორგებული სპეციფიკურ საჭიროებებს. ეს უმეტესად განპირობებულია იმით, რომ საჭიროებების კვლევა და შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი შეიძლება არ იყოს ჩადებული პროექტში.
- ორგანიზაციებს არ აქვთ კომუნიკაცია ერთმანეთთან და არ ფლობენ ინფორმაციას სხვა ორგანიზაციის პროექტების შესახებ, რაც ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე პრობლემის გამომწვევი შეიძლება იყოს და ვერ უზრუნველყოფს პროექტების შედეგების მდგრადობას. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა ინვესტის პროექტების დუბლირებას და აქტივობების გამეორებას ერთსა და იმავე სამიზნე ჯგუფთან.
- მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტებიდან ყველაზე მსხვილი დონორები არიან: USAID, UN სააგენტოები, Swiss Cooperation Office და ევროკავშირი.
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროექტები არ ახდენს სამიზნე ჯგუფის დიფერენცირებას მათი ეკონომიკური შესაძლებლობების, განათლების და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რეგიონული ლოკაციების არჩევა კი ძირითადად დამოკიდებულია ორგანიზაციის წინარე სამუშაოებზე და კონტაქტებზე ამ რეგიონში. ეს უფრო მარტივ გზას ჰგავს, ვიდრე შესაძლებლობების გაძლიერებას.
- ბენეფიციარები კრიტიკულები ნაკლებად არიან დონორისადმი და მათი მოთხოვნების უმეტესობა სახელმწიფოსა და საფინანსო სექტორისკენ არის მიმართული.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება: კორპორატიული სექტორი, პოლიტიკა და პრაქტიკა

ქალთა ეკონომიკურ სიძლიერეს კორპორატიული სექტორის გენდერული პოლიტიკა და პრაქტიკა პირდაპირ განაპირობებს. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ქალთა მონაწილეობა არამხოლოდ სამუშაო ძალაში, არამედ გადანყვეტილების მიღების პროცესშიც ნელ-ნელა იზრდება. ამას, სხვა ფაქტორებთან ერთად, თავად კომპანიების პროგრესული გენდერული პოლიტიკაც უწყობს ხელს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? წინამდებარე კვლევაში შევეცადეთ, აგვესახა, რა დამოკიდებულება აქვს კერძო სექტორს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საჭიროების მიმართ და როგორ პასუხობს ის გენდერული თანასწორობის გამოწვევას. კორპორატიულ სექტორში არსებული ტენდენციის გამოსავლენად და პირველადი დასკვნების გასაკეთებლად, გამოიკითხა 10 მსხვილი კომპანია შემდეგი დარგებიდან: ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ინფრასტრუქტურა, წარმოება, ჯანდაცვა, უძრავი ქონება, საფინანსო სფერო, ფარმაცევტიკა. ძირითადი საკვლევი საკითხები იყო კომპანიების გენდერული ფორმალური პოლიტიკა, კომპანიებში არსებული პრაქტიკა ქალთა გაძლიერების კუთხით, გადანყვეტილების მიღებაში ქალთა მონაწილეობა.

სანამ კვლევის ძირითადი ტენდენციების აღწერაზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ კერძო სექტორის ჩართულობის აუცილებლობას ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაში:

„კერძო სექტორიც დამნაშავეა მე მგონი, იმიტომ რომ ძირითადად, თუნდაც სამსახურის აყვანასთან, დასაქმებას რომ მიაღგება საქმე, მაღალი რანგის პოზიციებზე მაინც ურჩვნიათ კაცი თანამშრომლების აყვანა. შეიძლება მარტო იმ მიზეზით არა, რომ რაღაც მეტი გონებრივი შესაძლებლობები გონიათ რომ კაცს აქვს, მაგრამ ასევე იმის გამო, რომ თუნდაც რაღაც მე, დეკრეტში არ მოუწიოს გაშვება, ან ქალს უფრო მეტი დრო სჭირდება ოჯახისთვის და ა.შ. და ესეთი პრობლემები ქალებს უფრო მეტად აქვთ.“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„მე ვფიქრობ, რომ კერძო სექტორის აქტიური ჩართულობაც მნიშვნელოვანი იქნება და ამ კერძო სექტორში ყველაზე მეტად მოვიაზრებ საფინანსო სექტორს. საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც რა თქმა უნდა, რომ საკითხები, თვითონ ბევრი საკითხები რომელიც შესაძლოა სახელმწიფოს მხრიდან არ იყოს ინიცირებული, მაგრამ სამოქალაქო სექტორის მხრიდან იყოს ინიცირებული“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„მეორე ყველაზე დიდი აქტორი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით ალბათ ბიზნეს სექტორი უნდა იყოს, ვინც ხელს შეუწყობს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, მაგრამ დღეს რასაც ვუყურებ, თუნდაც ის ინიციატივები, რომლებზეც ბიზნეს სექტორები მოდიან, არის უბრალოდ სასაცილო და ვერავინ ვერ... სხვათაშორის ეს პრობლემა არის ფემინისტურ სივრცეშიც, რომ ვერ ვბედავთ ეს ხმამაღლა გავაკრიტიკოთ.“ (სამთავრობო დაწესებულების წარმომადგენელი).

ძირითადი მიგნებები

გენდერული პოლიტიკა – ქალაღზე

გამოკითხული კომპანიების უმრავლესობას (9 კომპანიას) არ აქვს ფორმალური გენდერული პოლიტიკა, კომპანიების ოფიციალურ დოკუმენტებში – წესდება, სტრატეგია – ქალთა გაძლიერება არ არის გათვალისწინებული. გამოკითხული კომპანიებიდან მხოლოდ ერთმა განაცხადა, რომ მისი წესდებით გენდერული თანასწორობა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისგან დაცვა უზრუნველყოფილია. თუმცა, წესდების ეს დებულება არ აისახება სპეციალურად ამ მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში, აქტივობებში.

ფორმალზეზებული და მრავალფეროვანი გენდერული პოლიტიკა გამოკითხული კომპანიებიდან მხოლოდ ერთს აქვს. ამ კომპანიის გენდერული პოლიტიკა ანაზღაურების მუდმივი ანალიზი, რომ დისკრიმინაცია გამოირიცხოს. ასევე, კომპანია ქალთა სამუშაოდ მოზიდვას განსაკუთრებულ ძალისხმევას ახმარს და შემდეგ თანაბარი შესაძლებლობების არსებობას უწევს მონიტორინგს. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიაში ქალთა წილი ტოპ მენეჯმენტში გამორჩეულად მაღალი – 45%-ია, რაც, სავარაუდოდ, გენდერულად სენსიტიური პოლიტიკით არის განპირობებული.

გენდერული თანასწორობა პრაქტიკაში

გარდა იმისა, რომ კომპანიების უმეტესობაში გენდერული პოლიტიკა ფორმალურადაც კი არ არსებობს, არც პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგმება ქალთა გასაძლიერებლად და უთანასწორობის დასაძლევად.

შეკითხვაზე, რა ნაბიჯები გადაიდგმება ორგანიზაციაში ქალთა გასაძლიერებლად, კომპანიების უმრავლესობამ განაცხადა, რომ არ მიმართავენ განსაკუთრებულ ზომებს სამსახურში ქალთა გასაძლიერებლად და გენდერული თანასწორობის მისაღწევად. მათი თქმით, კომპანიებში ისედაც დაცულია თანასწორობა და დამატებითი ქმედებები საჭირო არ არის.

ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში

შეკითხვაზე, როგორია ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, კომპანიები აცხადებენ, რომ ქალები მაქსიმალურად არიან ჩართულნი ამ პროცესში, ასევე, ქალები თანაბრად იღებენ მონაწილეობას სტრატეგიული და მსხვილი პროექტების მართვაში. თუმცა, კომპანიების მმართველობის სტრუქტურა საპირისპიროზე მიუთითებს: გამოკითხული კომპანიების 90%-ში აღმასრულებელი დირექტორი მამაკაცია.

სახელმწიფოს როლი კომპანიებში გენდერული თანასწორობის მისაღწევად

გამოკითხული კომპანიები ვერ ხედავენ საჭიროებას, კომპანიებში გენდერული თანასწორობის მისაღწევად სახელმწიფომ რაიმე ნაბიჯები გადადგას. მათი უმეტესი ნაწილი თვლის, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით რაიმე სახის ინიციატივის გამოჩენა, შესაძლოა, კერძო სექტორზე უარყოფითად აისახოს.

ამავდროულად, რამდენიმე კომპანიამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს როლი დეკრეტული შვებულების პოლიტიკის მოწესრიგებაა, რადგან ეს ფაქტორი აფერხებს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას.

საერთაშორისო კომპანიები გენდერულად მეტად სენსიტიურები არიან

გამოკითხვაში მონაწილე საერთაშორისო კომპანიებს ამა თუ იმ ფორმით ჰქონდათ მიღებული გენდერული თანასწორობის უზრუნველმყოფი ზომები. ამ ზომების დანერგვა და შესრულება ცენტრალური ოფისიდან კონტროლდება. ხოლო ქართულ ან უმეტესად ქართული მენეჯმენტის მქონე კომპანიებში, გენდერული პოლიტიკა არ არსებობს და კომპანიები გენდერულად სენსიტიურები არ არიან.

მთავარი მიგნებები

საქართველოს სხვადასხვა დარგში მოქმედი 10 მსხვილი კომპანიის გამოკითხვის შედეგად, საინტერესო პირველადი დასკვნები გამოვიტანეთ. ეს დასკვნები ყურადსაღებია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის, როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო თუ კერძო სექტორში.

კერძო სექტორის გამოკითხვა, როგორც მოსალოდნელი იყო, შედარებით რთული აღმოჩნდა, რადგან ზოგმა კომპანიამ უარი თქვენს გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე, ზოგმა – თავი

შეიკავა კონკრეტული პასუხებისგან და ზოგადი ინფორმაციის გაზიარებით შემოიფარგლა. ეს ტენდენცია ორ რამეზე მიუთითებს: ა) კომპანიებისთვის გენდერული თანასწორობა არ არის პრიორიტეტული ან თუნდაც, ყურადსაღები საკითხი. ამისივე დასტურია, რომ კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნია რაიმე, ფორმალური თუ პრაქტიკული, გენდერული პოლიტიკა; ბ) გენდერულ თანასწორობაზე საუბარი უსიამოვნოა კომპანიებისთვის, რადგან მათ არ გააჩნიათ გენდერული პოლიტიკა და ხედავენ რისკს, რომ ამაზე საჯაროდ საუბარმა, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს მათ იმიჯს.

გამოკითხვაში გამოჩნდა, რომ კომპანიები **ვერ ხედავენ ქალთა გაძლიერების საჭიროებას**. მათ მიაჩნიათ, რომ თავისთავად დასაქმება უკვე ქალის გაძლიერებაა და დამატებითი ნაბიჯების გადადგმა საჭირო არ არის. ისინი თვლიან, რომ მათ კომპანიებში თანამშრომლების პროფესიული წინსვლა მხოლოდ შესრულებულ სამუშაოზეა დამოკიდებული.

გამოკითხვიდან ცხადად გამოჩნდა, რომ **კომპანიები არ არიან გათვითცნობიერებულები** იმ კომპლექსურ და მრავალშრიან დაბრკოლებებში, რომლებსაც ქალები აწყდებიან პროფესიულ ასპარეზზე (როგორც სამსახურში, ისე მის გარეთ). ძალიან გავრცელებულია მოსაზრება, რომ ქალის პროფესიული წინსვლა მხოლოდ მის სურვილსა და შრომაზეა დამოკიდებული. ამ მოსაზრებას იზიარებს და იშველიებს მთავარ არგუმენტად თითქმის ყველა გამოკითხული კომპანია.

ამასთანავე, **გენდერულ თანასწორობას კომპანიები საკმაოდ ვიწრო ჭრილში უყურებენ**. იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ასე თუ ისე აღიქვამენ ქალთა გაძლიერების საჭიროებას, იგი ძირითადად დეკორატიული შვებულების არსებობა-არარსებობასთან ასოცირდება.

აღსანიშნავია ვაჭრობის დარგის ერთ-ერთი მსხვილი წარმომადგენლის დაკვირვება მმართველი ქალების წინაშე არსებულ დაბრკოლებებზე. მისი აზრით, საქართველოში **ქალი ლიდერი ჯერ კიდევ არ არის კომფორტული მამაკაცებისთვის**, მათთვის, რიგ შემთხვევებში, ქალის მმართველობა შესაძლოა, დამთრგუნველი და მიუღებელი იყოს. ამის გამო, ლიდერ პოზიციაზე მყოფ ქალებს უწევთ, მიმართონ „შემოქმედებით“, „დიპლომატიურ“ გზებს, რომ წარმატებით მართონ კომპანია.

იმისათვის, რომ კორპორატიულმა სექტორმა დაიწყოს გენდერული თანასწორობისთვის ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, პირველ რიგში, **საჭიროა, მათი გათვითცნობიერება პრობლემაში** და იმაში, თუ რატომ ახდენს უარყოფით გავლენას ეს პრობლემები არამხოლოდ ქალებზე, არამედ თავად კომპანიებზე და ეკონომიკაზე, ზოგადად.

გარდა ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია, უშუალოდ დასაქმებული ქალების გამოკითხვა იმის თაობაზე, თუ რა ფაქტორები აფერხებს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას და პროფესიულ წინსვლას. ასეთი კვლევის არსებობა არის საუკეთესო იარაღი იმ გავრცელებული ზედაპირული მოსაზრების წინააღმდეგ, რომ ქალის პროფესიული წარმატება მხოლოდ მის სურვილსა და ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროცესის მთავარი გამოწვევები

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმეტესობამ, გამოყო ის მთავარი გამოწვევები, რომლის გადალახვაც, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია. ჩამონათვალი მეტად მრავალფეროვანია:

„ყველაზე დიდი პრობლემა ქალ ფერმერებს რაც უდგათ, ეს არის, რომ მათ სახელზე არანაირი ქონება არ არის. ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული აუცილებლად, რომ თუნდაც იგივე აგრო კრედიტების დროს, ან.. უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფო პროგრამამ, სპეციალური პროგრამები უნდა შემუშავდეს ამ მიმართულებით“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ყველაზე მთავარი ის არის. ჩვენ უნდა მივანოდოთ ცოდნა და ინფორმაცია იმ ადგილზე, რომელი ადგილიც მათთვის ხელსაყრელია. იმ ენაზე, რომელ ენაზეც თვითონ საუბრობენ და უნდა მიანოდოს ინფორმაცია თავისმა მონათესავე სულმა ასე ვთქვათ“ (დონორების პროექტის ბენეფიციარი).

„მთავარი გამოწვევა არის ის, რომ ერთია, რომ ეს ქალები არ ფლობენ არანაირ კერძო საკუთრებას თითქმის და როდესაც რაღაცას იწყებს, მას არანაირი ხელჩასაჭიდი...[არ აქვს]. მაგალითად აიღოს სესხი და ასევე ბანკების დამოკიდებულებაც ასეთია, რომ განსაკუთრებულად არ ენდობა ქალს, რომელსაც არ აქვს ეკონომიკური შემოსავალი და არ აქვს კერძო საკუთრება მას რაიმე ტიპის სესხი გასცეს... და ის ცოდნები, რაც არ აქვთ ქალებს ამ სფეროში, იმიტომ რომ იმთავითვე ეს გენდერულად სეგრეგირებულია სფეროებიც, ხო? განათლებასაც ქალები ძირითადად იღებენ რაღაცა სხვა სფეროებში, სხვა მიმართულებით და აი, ცოდნა და რესურსზე წვდომა იმისთვის, რომ შენ თუნდაც დაიწყო რაღაცა, ეს არ არსებობს და არც სახელმწიფოს პოლიტიკა არ არის ისეთი, კიარადა სახელმწიფოს პოლიტიკა საერთოდ არ არის, რომ ის ბიუჯეტი და ის რესურსი, რაც არსებობს ქვეყანაში, ან ადგილობრივი გამგეობების თუ მუნიციპალიტეტების დონეზე ეს გადანაწილდეს თანაბრად. საერთოდ ვერ ხედავს ამ საჭიროებას სახელმწიფო.“ (საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„ის რომ ქალი სახლში ამდენს მუშაობს და ეს არაფრად არ ეთვლება და უმუშევარია და უსაქმური ეგ ხომ ერთ-ერთი ძაან დიდი პრობლემაა. რეალურად რომ დავთვალოთ, ეგ არის, იმ ქვეყნებსაც დათვილი აქვთ თუ რამდენის ეკონომიას აკეთებს ოჯახი იმით, რომ ქალი სახლში მუშაობს და უსაქმურობს. რამხელა კონტრიბუციაც შეუძლია ეკონომიკურ იმაში შეიტანოს“ (სამთავრობო დაწესებულების წარმომადგენელი).

„ძალიან ბევრი ხარვეზია და ეს ხარვეზები კომპლექსური და ესე ერთობლივი მუშაობაა საჭირო. კომპლექსური მუშაობა ყველა კუთხიდან.... მაგრამ რაღაც მრავალი კუთხიდან რომ მიუდგე ჯერჯერობით ჩვენთან არ ყოფილა.“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

„გამოწვევა არის თუნდაც საოჯახო საქმიანობები, რომ საბავშვო ბაღებზე ხელმისაწვდომობაც თუ ნაკლებია აქაც დადებითი ტენდენცია არის. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, თუნდაც ბიზნესის დასაწყებად, იმიტომ რომ ძირითადად ქონება და ძირითადი აქტივები ოჯახში რეგისტრირებულია კაცზე და თუ ქალს დამოუკიდებლად უნდა სესხის მიღება, გრანტის მიღება, ამაზე სჭირდება კაცის ნებართვა“ (დონორთა პროექტის ბენეფიციარი).

„ეკონომიკურად ძალადობა, რაც ქალთა გაძლიერებას ამ კუთხით, კი არა პირდაპირ ადამიანს ანგრევს ყველანაირად ხო და არ არის იმაზე ნაკლებად რთული საქმე, ვიდრე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა... უჭირთ ამის იდენტიფიცირება. ანუ თუ პირდაპირ მატერიალურ შეზღუდვებთან არ არის დაკავშირებული ეკონომიკური ძალადობა და ვთქვათ, დაკავშირებულია სამსახურში აკრძალვასთან, ან დაკავშირებული არის მატერიალური რესურსებით სრულად სარგებლობასთან და ა.შ.

ძალიან უჭირთ იდენტიფიცირება და განსაკუთრებით, ეკონომიკური ძალადობა ხვდება და რთულია იდენტიფიცირება, თუ საქმე გვაქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებთან. თითქოს არანაირი ეკონომიკური უფლებები მათ არ გააჩნიათ და მათთვის აი, ამგვარი შეზღუდვა არის მათი ასე ვთქვათ, უფლებლივი პაკეტის ნაწილი“ (სამთავრობო დაწესებულების წარმომადგენელი).

„თვითდასაქმებულ ქალებს საერთოდ არ ვეხებით, იმიტომ რომ მათი საქმიანობა მთლიანად დაურეგულირებელია და მე წარმოდგენაც არ მინდა რანაირად შრომობენ ეს ქალები, მაგრამ დასაქმებულ ქალები რომ ავიღოთ, ორ წლამდე ბაგა ბაღები საქართველოში არ არსებობს და ჩვენ არ ვიცით რას შვრებიან ქალები, რომლებსაც ანაზღაურება და შვებულება ისიც დამსაქმებლის კეთილი ნების პირობებში ექვსი თვე აქვს ხო? დანარჩენი წელიწად-ნახევარი რითი კვებავენ ამ ბავშვებს და რითი ზრდიან, ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს“ (სამთავრობო დაწესებულების წარმომადგენელი).

როგორც ვხედავთ, გამოკივეთა ყველა ის მნიშვნელოვანი ხარვეზი, რაც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით ქვეყანაში (არ)არსებულ პოლიტიკას გააჩნია: ქალებისათვის ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ქვეყანაში ქალთა მიმართ არსებული ეკონომიკური ძალადობის უხილავობა. ასევე, აღსანიშნავია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროცესში კორპორატიული სექტორის ჩაურთველობა და ბოლოს, ქალთა აგენტობის დაბალი დონე, რის მაგალითსაც აუღიარებელი, უხილავი საოჯახო შრომა წარმოადგენს.

დასკვნა

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროცესია. იგი ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას ეკონომიკურად აქტიურს ხდის, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს უფრო მეტი სიმდიდრის და კეთილდღეობის შექმნას ქვეყანაში. იმისათვის, რომ ქალი ეკონომიკურად გაძლიერდეს, საჭიროა, მას ჰქონდეს ფინანსებსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ზურგს უმაგრებდეს მყარი და ეფექტური ინსტიტუტები და, რაც მთავარია, გააჩნდეს არჩევანის საშუალება და კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და ქალთა მიმართ ეკონომიკურ ძალადობასთან ბრძოლა არ წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ნაწილს. შესაბამისად, სახეზეა საკითხისადმი ერთიანი, კონსოლიდირებული სახელმწიფო ხედვის ნაკლებობა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, სახელმწიფოს არ განუხორციელებია არც ერთი პროგრამა, რომლის პირდაპირი მიზანი ქალთა ეკონომიკური გაძლიერება იქნებოდა. ასევე, სტრატეგიულ სახელმწიფო ეკონომიკურ დოკუმენტებში ვერ ვხვდებით ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ განვრცობილ ჩანაწერებს.

საქართველოში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ძალისხმევა და პროგრამები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით შთამბეჭდავია, მისი მასშტაბებისა და ინტენსივობის გათვალისწინებით. ერთადერთი გამოწვევა, რაც ამ სფეროში გამოკვეთა, ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის ნაკლებობაა, რაც შედეგების მდგრადობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

საქართველოში ქალთა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი სუსტი წერტილი კორპორატიული სექტორია. კორპორატიულ სექტორში გამოიკვეთა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხში გათვითცნობიერების დაბალი დონე. ამასთან, არ არსებობს კონკრეტული ინიციატივები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, სახელმწიფო კი პასიურ მიდგომას ირჩევს და ყველაფერი დამოკიდებულია დამსაქმებელის კეთილსინდისიერებაზე.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით მთავარ გამოწვევებს ქალებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და მათი აგენტობის (agency) გაზრდა წარმოადგენს.

კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტის გზები სახელმწიფომ, საერთაშორისო და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივად უნდა ეძებონ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების განყენებულად განხილვა პოლიტიკური გაძლიერების თუ სოციალურ-კულტურული ცვლილებების პროცესისგან არასწორი იქნება. სწორედ ასეთ კომპლექსურ მიდგომას უნდა ემყარებოდეს პროცესში ჩართული ნებისმიერი აქტორის პოზიცია. მთავარია, ქალებს ავუმალლოთ თვითრწმენა და მივანიჭოთ აგენტობა, რომ მათ შემდეგში შეძლონ თავიანთი ცხოვრების და ფინანსების მართვა.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგების გათვალისწინებით და მონაცემებზე დაყრდნობით, შემუშავდა რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციების მთავარი მიზანია, აღმოფხვრას ზემოთ მოყვანილი მთავარი გამოწვევები. რეკომენდაციები შემუშავდა იმ სამი სექტორისთვის, სადაც მიმდინარეობდა კვლევა. ეს სექტორებია: საჯარო (სახელმწიფო პოლიტიკა), არასამთავრობო და კერძო.

საჯარო სექტორი

სახელმწიფო პოლიტიკა

- სახელმწიფომ უნდა შეისწავლოს ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმები და შეიმუშავოს მათი გადაჭრის გზები,
- სამთავრო პროგრამაში „თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა 2016-2020“ გაიწეროს კონკრეტული ნაბიჯები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების უზრუნველყოფისთვის.
- განისაზღვროს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მთავარი მიმართულებები, როგორცაა: ქალები არატრადიციული პროფესიით, სოფლად მცხოვრები ქალები, ქალები მეცნიერებაში, ქალები გადანაცვლების მიმღებ პოზიციებზე, ახალგაზრდა ქალები და გოგონების გაძლიერება.
- თავდაცვისა და ლტოლვილთა სამინისტროების მსგავსად, სხვა სამინისტროებმაც უნდა შექმნან შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, როგორც არის გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.
- თითოეულ სამინისტროში თუ სსიპ-ში, დაინიშნოს შტაბით მომსახურე მოხელე (gender focal point), რომელიც გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შერულებას გაუწევს მონიტორინგს, მოამზადებს შესაბამის ანგარიშს, პასუხისმგებელი იქნება გენდერულ სტატისტიკაზე და ანგარიშს წარუდგენს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათა შორის კომისიას.
- აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე გაძლიერდეს, პრემიერ-მინისტრის ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის აპარატი, რომელიც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით იმუშავებს და მონიტორინგს გაუწევს სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის იმპლემენტაციას.
- გაძლიერდეს ობმუცემთან არსებული გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი და მათი საქმიანობა გაგრძელდეს ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის აღმოფხვრაზე, ცნობიერების ამაღლების კამპანიების და სახელმწიფო პოლიტიკის მუდმივი მონიტორინგის გზით.
- სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ნებისმიერი სტრატეგიული დოკუმენტი თუ სამოქმედო გეგმა უნდა გადიოდეს გენდერზე დაფუძნებულ ანალიზს GBA+ (Gender Based Analysis Plus).
- შეიქმნას სპეციალური პროგრამები, რომელიც ქალთა მენარმეობის ხელშეწყობისკენ იქნება მიმართული და მიზნად ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას დაისახავს.
- გადამზადდნენ საჯარო მოხელეები, რათა უზრუნველყოფილ იქნას გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის გატარება გადანაცვლების მიღების ყველა დონეზე.
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, სახელმწიფომ უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების, კვლევითი ცენტრების და ექსპერტების ჩართულობა.
- საქატატმა ზოგადი გენდერული სტატისტიკური მონაცემები გაამრავალფეროვნოს და გენდერული სტატისტიკური ანგარიში ვიზუალურად დახვეწოს.

სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერება

- სოფლის განვითარების სტრატეგიაში გაიწეროს ქალთა ეკონომიკური გააქტიურება, პროფესიული უნარჩვევების გაზრდის გზით, ხოლო შინამეურნეობის მართვაში – ქალთა მონაწილეობის გაძლიერების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
- სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სპეციფიკური პროგრამის საფუძველზე, რომელსაც კომპლექსური მიდგომა ექნება და დაფარავს სოფლად მცხოვრები ქალების ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას.
- გაიზარდოს სოფლად მცხოვრები ღარიბი ქალების, გოგონების და ახალგაზრდა ქალების (young women), ჩართულობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებში.
- საქსტატმა გაამახვილოს ყურადღება გენდერულ პუბლიკაციაში სოფლად მცხოვრები ქალების შესახებ მონაცემების გენერირებაზე.
- მოხდეს ქალებისათვის მინის უფასო რეგისტრაციის დანერგვა და დაუკანონებელი მინების დაკანონება.
- მოხდეს სასოფლო სამეურნეო მინების ფლობის სტატისტიკის სრულყოფა, მინის აღრიცხვის პროგრამის დაჩქარებით.
- განხორციელდეს ქონებრივი უფლებების შესახებ ცნობიერების კამპანიის წარმოება.

ქალები დასაქმების ადგილზე

- შესწავლილ იქნას ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ხელმისაწვდომობა სერვისებსა და პროდუქტებზე და შემუშავდეს პრობლემის გადაჭრის გზები. საკანონმდებლო გზით აიკრძალოს დამსაქმებლის მიერ სამსახურის მაძიებლისთვის პირად ცხოვრებაზე, ოჯახურ მდგომარეობასა და ოჯახის დაგეგმვაზე შეკითხვების დასმა.
- მნიშვნელოვანია, შრომის ინსპექციის მონიტორინგის დროს ყურადღება მიექცეს დასაქმების ადგილზე გენდერული დისკრიმინაციის ფაქტებს, თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფისკენ სწრაფვას, ორსული, მეძუძური დედების და მშობლების მდგომარეობას.
- შრომის კოდექსით და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონით დისკრიმინაციული შევიწროვებისა და სექსუალური შევიწროვების აკრძალვა.
- სახელმწიფომ შექმნას გენდერულად ყველაზე სამართლიანი დამსაქმებლის სია, დამსაქმებელთან მუდმივი კოორდინაციით. ეს ხელს შეუწყობს კორპორატიული სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას.
- სახელმწიფომ გამოავლინოს გენდერულად ყველაზე სამართლიანი და ყველაზე უსამართლო დამსაქმებელი, სია უნდა იყოს საჯარო. გენდერულად ყველაზე სამართლიან დამსაქმებელს უნდა გადაეცეს შესაბამისი ჯილდო.
- საჭიროა ჩვილ ბავშვთა მოვლის დღის ცენტრების შექმნა, სრულ განაკვეთზე დასაქმებული ქალებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.
- ბაგა-ბაღების მუშაობის განრიგი უნდა ემთხვეოდეს სტანდარტულ სამუშაო საათებს.

სახელმწიფო პროგრამები

- მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას უზრუნველყოფს. პროგრამის ფარგლებში, უნდა გაიცეს როგორც ფინანსური დახმარება, ასევე გადამზადდნენ ქალები და პროექტში კაცების ჩართულობის გზით მოხდეს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა.
- რეკომენდებულია „ანარმოე საქართველოს“ ინდუსტრიულ კომპონენტში ქალების

ჩართულობის გაზრდის უზრუნველყოფა და წახალისება, კერძოდ, კომპანიების შერჩევას, კომპანიაში გადამწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე გენდერულ ბალანსზე ყურადღების გამახვილება.

- მიკრო და მცირე მენარმეობის განვითარების პროგრამაში თვისებრივი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური სარგებლის დათვლა და ქალების წილის გაზრდა სარგებლის გადანაწილებისას.
- სტარტაპ საქართველოს პროგრამის ფარგლებში გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებთან მუშაობა, მათი ტექნიკური ცოდნის ამაღლების კუთხით.
- სოფლის მეურნეობის სეზონურ თუ მუდმივ პროექტებში ქალთა ჩართულობის ზღვრის დადგენა და მისი აღსრულება, და ამასთან ეკონომიკურად მომგებიანი და ფინანსურად მსხვილი პროექტების ბენეფიციარებში ქალების რაოდენობის ზრდა.

დონორები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები:

- გაიზარდოს დონორებს და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კომუნიკაცია, ინფორმაციის მიმოცვლა და თანამშრომლობა. ამ მიზნით, შეიქმნას ერთიანი პლატფორმა.
- შეიქმნას მონაცემთა ბაზა და ერთიანი ვებ პორტალი, სადაც ყველა ის პროექტი იქნება განთავსებული, რომელიც ქალთა გაძლიერებას ემსახურება.
- განხორციელდეს საბაზისო კვლევები ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის და ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ საქართველოში, რაზე დაფუძნებითაც შეიძლება, შემუშავდეს ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები.
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ყველა ახალი პროექტი ეფუძნებოდეს ადგილობრივი საჭიროების კვლევას.
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროექტები უნდა მოერგოს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებს. ეკონომიკური სტატუსი, გეოგრაფიული არეალი და განათლება ის რამდენიმე კრიტერიუმია, რომელიც შესაძლოა, იყოს გათვალისწინებული.
- პროექტის დაგეგმვისას, ყურადღება მიენიჭოს შედეგების მდგალობის უზრუნველყოფას სპეციალური სერვისების შეთავაზების, მათ შორის საკონსულტაციო მომსახურების, იურიდიული აუდიტის, ფინანსური ანგარიშგების და ქოუჩინგის (coaching) გზით.
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით შექმნილ პროექტებში დაინერგოს კომპლექსური მიდგომის გამოყენება, რაც გულისხმობს ქალების ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაძლიერებას, და ცნობიერების ამაღლებას თემში, ასევე ქალებთან ერთად კაცების ჩართულობას პროექტებში.
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერება გულისხმობს ქალთა აგენტობის ჩამოყალიბებას. ყურადღება უნდა გამახვილდეს ქალებისთვის ლიდერული და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებასა და მოტივაციის გაზრდაზე.
- ქალთა გაძლიერების კამპანიები უნდა გასცდეს ტელევიზიებს და სოციალურ ქსელებს და მოიცვას ადგილობრივი ტელევიზიები, რადიოები და გაზეთები. ჩატარდეს პირისპირ შეხვედრები სოფელსა და თემში.
- პროექტების საშუალებით მოხდეს შუა ხნის და ასაკოვანი ქალებისთვის კომპიუტერული უნარების განვითარების ხელშეწყობა, ასევე მათი ფინანსური მართვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარების გაუმჯობესება.
- სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, ახალგაზრდა ქალებისთვის გრანტების გაცემა თანამონაწილეობის გარეშე (Unconditional cash transfers).
- დონორმა ორგანიზაციებმა საკუთარ ბენეფიციარებთან მეტი იმუშაონ გენდერული ცნობიერების და სენსიტიურობის ამაღლების მიზნით.

- ჩატარდეს კვლევა, თუ რა ფაქტორები აფერხებს ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას და პროფესიულ წინსვლას. ასეთი კვლევის არსებობა არის საუკეთესო იარაღი იმ გავრცელებული ზედაპირული მოსაზრების წინააღმდეგ, რომ ქალის პროფესიული წარმატება მხოლოდ მის სურვილსა და ძალისხმევაზე დამოკიდებულია.

კორპორატიული სექტორი:

- გაიზარდოს კერძო კომპანიების გათვითცნობიერება ეკონომიკური გაძლიერების და გენდერული დისკრიმინაციის პრობლემასთან დაკავშირებით.
- კომპანიების მიერ, აუცილებელია შრომის კოდექსის შესაბამისად, ქალი და ასევე კაცი თანამშრომლებისთვის დეკრეტული შვებულების უზრუნველყოფა.
- კომპანიებმა უნდა შექმნან ქალისათვის ადეკვატური შრომითი პირობები, რაც გამორიცხავს სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებას. ამის დარეგულირება კი თანამშრომლების მუდმივი გადამზადებითა და შიდა განაწესში შესაბამისი მუხლების განერთ არის შესაძლებელი.
- მოხდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) პროექტის „ქალები ბიზნესში“ (Women in Business (WiB) შესახებ, პროექტის განმახორციელებელი ორი ბანკის: საქართველოს და თიბისი ბანკების მიერ.
- საქართველოს ბანკმა უზრუნველყოს ქალი სტარტაპერის პროგრამის ცნობადობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა. ასევე უნდა გადაიხედოს ქალებისთვის შეთავაზებული სესხის პირობები, განსაკუთრებით ქონებით უზრუნველყოფის ნაწილში, და გაუქმდეს ასაკობრივი შეზღუდვა.
- აუცილებელია, ასევე, კორპორატიულ სექტორში ქალების ტოპ-მენეჯმენტში მონაწილეობის ხელშეწყობა.
- კორპორატიულმა სექტორმა უზრუნველყოს მშობლობისა და პროფესიული ვალდებულებების შეთავსების ხელშეწყობა.
- კორპორატიულმა სექტორმა უზრუნველყოს თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის პრაქტიკაში განხორციელება.
- კორპორატიული სექტორი უნდა ებრძოდეს გენდერულ სახელფასო სხვაობას.

დანართი №1

	2012 წელი / 128	2012 წლის ქულა	ქულის ცვლილება
საერთო ქულა	=59	54,5	+4,4
1) შრომის პოლიტიკა და პრაქტიკა	60	50,5	+9,0
1A) შრომის პოლიტიკა	57	66,7	+6,2
1B) შრომის პრაქტიკა	=69	34,3	+11,7
2) ფინანსებზე ხელმისაწვდომობა	90	31,2	+7,3
3) განათლება და გადამზადება	=74	60,0	-0,8
4) ქალთა ლეგალური და სოციალური სტატუსი	78	66,3	0,0
5) ზოგადი ბიზნეს გარემო	43	68,6	+2,3

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის მიხედვით, საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა ზოგადი ბიზნესგარემოს და ლეგალური და სოციალური სტატუსის ინდიკატორებით აქვს, ხოლო ყველაზე დაბალი – ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და შრომის პრაქტიკის კუთხით.

ქვემოთ ცხრილებში ჩაშლილია თითოეული ინდიკატორის ქვეინდიკატორი და მათთვის მინიჭებული ქულები:

საუკეთესო მაჩვენებლები

1,4) სამუშაოს ტიპის მიხედვით ლეგალური შეზღუდვები	100,0
4,2) მოქალაქეობრივი უფლებები	100,0
4,6) CEDAW-ს რატიფიკაცია	100,0
3,4) ქალთა წიგნიერების დონე	99,8
3,3) საშუალო განათლება მიღებული ქალების რაოდენობა	95,9
5,2) ბიზნესის წამოწყება	90,3
1,8) სამუშაო ადგილზე დე ფაქტო დისკრიმინაცია	87,1
4,4) მოზარდთა ნაყოფიერების მაჩვენებელი	81,7

გაუმჯობესებული მაჩვენებლები

1,1) თანაბარი ანაზღაურება; ILO-ს კონვენცია 100, პოლიტიკა	+35,7
1,9) ბავშვთა მოვლაზე ხელმისაწვდომობა	+33,3
2,3) ქალების ხელმისაწვდომობა ფინანსურ პროგრამებზე	+25,0
1,7) დისკრიმინაციის არარსებობა; ILO-ს კონვენცია 111, პრაქტიკა	+16,7
5,1) რეგულირების ხარისხი	+7,2
2,1) საკრედიტო ისტორიის ჩამოყალიბება	+4,2
3,1) დაწყებითი და საშუალო განათლება, ქალები	+4,1
5,3) ინსფრასტრუქტურის გამართლობა	+4,1
3,4) წიგნიერება, ქალები	+0,8

შემცირებული მაჩვენებლები

3,2) უმაღლესი განათლება, ქალები	-8,8
1,2) დისკრიმინაციის არარსებობა; ILO-ს კონვენცია 111, პოლიტიკა	-4,7
1,8) სამუშაო ადგილზე დე ფაქტო დისკრიმინაცია	-3,1
5,2) ბიზნესის წამოწყება	-2,2

საჭიროებს გაუმჯობესებას: 25 ქულაზე ნაკლები

3,5) მცირე და საშუალო მენარმეთა მხარდაჭერა და გადამზადება	20,0
1,7) დისკრიმინაციის არარსებობა; ILO-ს კონვენცია 111, პრაქტიკა	16,7
2,1) საკრედიტო ისტორიის ჩამოყალიბება	16,4
4,7) პოლიტიკური მონაწილეობა	10,4
1,6) თანაბარი ანაზღაურება; ILO-ს კონვენცია 100, პრაქტიკა	0,0

როგოც ეს ცხრილები გვიჩვენებს, გაუმჯობესებას საჭიროებს თანაბარი ანაზღაურების პრაქტიკა, ქალების პოლიტიკური მონაწილეობა და ქალებისთვის საკრედიტო ისტორიის ფორმირების პრაქტიკა.

დანართი №2

ლიტვა

პოსტსაბჭოთა სივრცეში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით, ლიტვა ყველაზე წარმატებული ქვეყანაა. სხვადასხვა ინდექსის თუ სტატისტიკური მონაცემის მიხედვით კი, მას მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მაგალითად თვლიან გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის მიმართულებით. ლიტვას საქართველოსთან პოსტსაბჭოთა ეკონომიკური და პოლიტიკური გამოცდილება აკავშირებს, მაგრამ თითქმის ყველა მონაცემებით და მაჩვენებლებით, საგრძობლად უსწრებს ჩვენს ქვეყანას. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური გენდერული უთანასწორობის ინდექსი 2017“-ის მონაცემებით, ლიტვას მსოფლიოს 144 ქვეყნიდან 28-ე ადგილი უჭირავს, 0.742 ქულით¹. საინტერესოა, თუ რა ინსტიტუციური თუ ლეგალური ბაზა და მექანიზმები არსებობს ლიტვაში გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მისაღწევად.

1998 წელს, ქვეყანამ მიიღო **კანონი ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობების შესახებ**, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას, იქნება ეს სექსუალური შევიწროება, თუ სექსის ნიშნით პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია. კანონი ასევე გენდერული მენისტრინგის წინაპირობებს აყალიბებს და სავალდებულოდ ხდის, ნებისმიერი ადგილობრივი თუ ცენტრალური ორგანოს მიერ მიღებული საკანონმდებლო ხასიათის დოკუმენტი უზრუნველყოფდეს თანაბარი შესაძლებლობების შექმნას ქალებისათვის. 2002 წლიდან მოყოლებული, კანონი ასევე არეგულირებს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ ხელმისაწვდომობას სერვისებსა და პროდუქტებზე. ამ კანონითვე, დამსაქმებელს არ შეუძლია, სამსახურის მაძიებელს ჰკითხოთ ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, პირადი ცხოვრების და ოჯახური გეგმების შესახებ. ლიტვამ, ამასთანავე, წარმატებით გაატარა ევროკავშირის დირექტივები სოციალური და სამუშაო დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ამჟამად, ქვეყანა **ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ 2015-2021 მეოთხე ეროვნულ პროგრამას** ახორციელებს. ასევე, პროგრამის ფარგლებში განერილია **სამოქმედო გეგმა**, რომელიც კომპლექსური ხასიათისაა და ფარავს პრიორიტეტულ მიმართულებებს: დასაქმების, განათლების და მეცნიერების, ჯანდაცვის, გადამწყვეტილების მიღების, თანაბარი შესაძლებლობების იმპლემენტაციის მექანიზმების და მეთოდების განვითარების. სხვადასხვა სამინისტროები ჩართულნი არიან და კონკრეტულ მიმართულებებს კურირებენ. პროგრამა უთანასწორობის აღმოსაფხვრელად სახელმწიფო ორგანოების, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების და მკვლევართა ერთობლივი ძალისხმევის შედეგია.

ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების კომიტეტი ლიტვის მთავრობის განკარგულებით 2000 წელს შეიქმნა და პასუხისმგებელია პროგრამის კოორდინაციისა და იმპლემენტაციის პროცესში. კომისია სამინისტროების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შედგება. კომისიის თავმჯდომარეა სოციალური უსაფრთხოებისა და შრომის მინისტრი, იქიდან გამომდინარე, რომ ამ სამინისტროს ერთ-ერთი მიმართულება სწორედ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაა. კომისია ყოველწლიური ანგარიშის მეშვეობით პასუხისმგებელია მთავრობის წინაშე. პროგრამის თითოეული ფაზის ბოლოს, ტარდება ყოვლისმომცველი ზემოქმედების შეფასება და პროგრამის განხორციელების შედეგებითი შეფასება².

ზემოთ ნახსენები 1998 წელს მიღებული კანონის მიხედვით, ლიტვაში **თანაბარი შესაძლებლობების ომბუდსმენის ინსტიტუტი** შეიქმნა, რომლის ვალდებულებაა, განიხილოს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის დარღვევის და დისკრიმინაციის შესახებ ყველა საჩივარი. ასევე, პროცესებში აქტიურად არის ჩართული გენდერული სწავლებების ორი საუნივერსიტეტო ცენტრი, ვილნიუსის და სიაულის

1 სადაც 1=თანასწორობას და 0=უთანასწორობას. World Economic Forum; *The Global Gender Gap Report 2017*. Accessed: [http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2017.pdf]

2 Ministry of Social Security and Labour, Republic of Lithuania. Accessed: [<http://www.socmin.lt/en/gender-equality-8891.html>]

უნივერსიტეტებში. შრომითი უფლებების მხრივ თანასწორობას უზრუნველყოფენ ლიტვის შრომის ფედერაციის ქალთა კომიტეტი და ლიტვის პროფესიული კავშირების ქალთა ცენტრი და ქალთა საკითხების საინფორმაციო ცენტრი.

2013 წელს, მკაფიოდ განერილი მიზნებით, ქვეყანა ევროსაბჭოს პრეზიდენტი გახდა, გენდერული თანასწორობის და თანაბარი შესაძლებლობების კუთხით. მთავარ პრიორიტეტს გენდერული თანასწორობის დეფაქტო მაჩვენებლის მიღწევისათვის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა წარმოადგენდა. ამ მიმართულებით, მიზნად იქნა დასახული პეკინის პლატფორმის სამოქმედო გეგმის გადახედვა და იმპლემენტაცია. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, ლიტვის ინიციატივა ეხებოდა სავაჭრო ბირჟაზე გენდერული ბალანსის გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს ეკონომიკური გადანყვეტილების მიღებაში ქალთა ჩართულობის გაზრდას. ასევე, ლიტვის ევროსაბჭოს პრეზიდენტობის პერიოდში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებში მაღალ პოზიციებზე ქალების მაღალი რეპრეზენტატულობა გახდა.

ლიტვის მთავრობის მიერ მიღებულ სამოქმედო გეგმაში, რომელიც ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ეროვნული პროგრამის განხორციელებას ემსახურება, განერილია საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები, რაც სხვადასხვა ჩართულობა მხარეებმა უნდა შეასრულონ. მთავარი დატვირთვა მაინც **სოციალური უსაფრთხოებისა და შრომის სამინისტროზე** მოდის, რომელიც გენდერულ საკითხებს კურირებს. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნის თანაბარი შრომითი პირობების და ანაზღაურების მიღწევას ქვეყანა სხვადასხვა სახით გეგმავს, მათ შორის ასეთი ინიციატივის გზით - **ყველაზე (გენდერულად) სამართლიანი დამსაქმებლის სიის შექმნით და მათთან მუდმივი კოორდინაციით.**

ლიტვის ეკონომიკის სამინისტრო აქტიურად არის ჩართული ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნების მიღწევაში, ამისათვის კონსულტაციების და სემინარების გზით ცდილობს ქალთა სამენარმეო უნარების, ფინანსური ცოდნის და სხვა კომპეტენციების გაუმჯობესებას. სამინისტროს ვებგვერდზე არის **ქალთა მენარმეობის ხელშეწყობის გვერდი**, სადაც მუდმივად განახლებული ინფორმაცია არის განთავსებული ამ კუთხით განხორციელებულ ინიციატივებთან დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, ეკონომიკის სამინისტრო ცდილობს, დააფინანსოს ინიციატივები და პროექტები, რომელიც სოფლად მცხოვრები ქალების არასასოფლო აქტივობების და მცირე ბიზნესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. მეორე და ასევე მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულება ქალების მოტივაციის და კომპეტენციების ამაღლებაა. იმისათვის, რომ ქალები ჩაერთონ გადანყვეტილების მიღების პროცესში, 2015-2017 წლისათვის დაგეგმილია საინფორმაციო კამპანიები ლიდერი ქალების შესახებ და ბიზნესში წარმატებული ქალების დაჯილდოვება სახელმწიფოს მიერ.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ლიტვის მთავრობა ასევე განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგის ჩატარებას საჯარო მოხელეთათვის. ასევე, მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე თანასწორობის უზრუნველყოფა, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული დანაყოფების თანამშრომლები ჩართული არიან საგანმანათლებლო ღონისძიებებში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ღონისძიება სხვადასხვა სააგენტოების, სამინისტროების და აქტორების თანამშრომლობით ხორციელდება. ლიტვის მთავრობის სამოქმედო გეგმა, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრიორიტეტული მიმართულებებისა, მოიცავს ეროვნული თავდაცვის, განათლებისა და მეცნიერების და ჯანდაცვის სფეროებში გასატარებელ ღონისძიებებს.

2012 წელს, ლიტვაში შრომის გენდერულად არათანაბარი ანაზღაურება (gender pay gap) 12.6%-ს წარმოადგენდა, რაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია. ამ განსხვავების აღმოსაფხვრელად, ლიტვის მთავრობა სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. მაგალითად, **კერძო თუ საჯარო დაწესებულებების წესდებაში შესატანი სავალდებულო გენდერული თანასწორობის დათქმა.** ასევე, სახელმწიფო შრომითი ინსპექცია აქტიურად არის ჩართული სამუშაო ადგილზე ლიტვის შრომითი კოდექსის თანაბარი ანაზღაურების წესის გასატარებლად.

ასევე ლიტვის ეროვნული სტატისტიკის სამსახური ყოველწლიურად გამოსცემს პუბლიკაციას “ქალები და კაცები ლიტვაში”. 120-გვერდიან დოკუმენტში დეტალურად არის მიმოხილული ქვეყნის მდგომარეობა გენდერული თანასწორობის მხრივ, მოტანილია ევროსტატის გენდერული თანასწორობის ინდიკატორის მაჩვენებლები ლიტვისთვის და სხვადასხვა რაოდენობრივი მონაცემი, როგორცაა: შრომის ბაზარი, საცხოვრებელი პირობები, ძალაუფლება და გადანყვეტილების მიღება, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება და სხვ. ამასთანავე, მოცემულია ევროკავშირის სხვა ქვეყნების მონაცემები ამ მხრივ და ტერმინების განმარტებები. პუბლიკაცია ორენოვანია და ხელმისაწვდომია როგორც ლიტვურ, ასევე ინგლისურ ენებზე.

სლოვენია

პოსტსოციალისტურ სივრცეში მეორე ყველაზე წარმატებული ქვეყანა არის სლოვენია, რომელსაც იგივე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით, გლობალური გენდერული უთანასწორობის ინდექსში მერვე ადგილი უჭირავს, 0.786 ქულით. ინდიკატორების მხრივ კი, 144 ქვეყნიდან მე-15 ადგილზეა ქალთა

ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების მხრივ. მას, როგორც ლიტვას, საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ქალების დასაქმების მხრივ პროფესიულ და ტექნიკურ სფეროში და შემოსავლის თანაფარდობის მხრივ.

სლოვენია ევროკავშირს 2004 წელს შეუერთდა და ძირითადი ლეგალური თუ ინსტიტუციური მექანიზმები გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად სწორედ ევროკავშირში განვითარების წინა პერიოდში შეიქმნა. როგორც მაგალითად 2002 წლის **ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობების აქტი**, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ თანასწორობას და კრძალავს პირდაპირ თუ ირიბ დისკრიმინაციას. ასევე, ამ აქტის მიხედვით, სლოვენიის მთავრობამ შექმნა ეროვნული გეგმა თანაბარი შესაძლებლობებისათვის. 2002 წლის თანაბარი შესაძლებლობების აქტის მიხედვით, შეიქმნა **თანაბარი შესაძლებლობის სამთავრობო აპარატი**, რომლის უფლებები 2012 წელს შეითავსა შრომის, ოჯახის და სოციალურ საქმეთა სამინისტრომ. თითოეულ სამინისტროს ჰყავს **გენდერული თანასწორობის კოორდინატორი**, ადგილობრივ თვითმმართველობებსაც შეუძლიათ თანასწორობის კოორდინატორის დანიშვნა. თანასწორი შესაძლებლობების მიმართულება მუშაობს გენდერული მეინსტრიმინგის დასაწერად ყველა სამთავრობო დონეზე და ასევე, განსაზღვრავს ღონისძიებებს, რომ აღმოფხვრას სქესის და გენდერულ საფუძველზე წარმოქმნილი უთანასწორობები და სოციალურად კონსტრუირებული ურთიერთობები ქალებსა და კაცებს შორის ცხოვრების ყველა სფეროში. იგი, ასევე, ამ პროცესს მონიტორინგს უწევს. 2010 წელს, თანასწორობის ოფისმა განახორციელა პროექტი „**თანასწორი მრავალფეროვნებაში**“, რომელიც მოიცავდა ახალი ვებგვერდის შექმნას თანასწორობის პრინციპების ადვოკატირებისათვის და ევროკომისიის მიერ იყო დაფინანსებული. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, რჩევები და რეკომენდაციები დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ. ვებგვერდს გააჩნია ონლაინ კითხვარის შევსების ფორმა, სადაც მოქალაქეს შეუძლია, ინიციატივა წამოაყენოს ან დისკრიმინაციის ფაქტის შესახებ განაცხადოს. ვებგვერდი წარმოდგენილია რამდენიმე, მათ შორის სლოვენიაში მცხოვრები ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების ენებზე.

სლოვენია დიდ ყურადღებას აქცევს ქალების სათანადო უნარებით აღჭურვას და მათ განათლებას, განსაკუთრებით ადვოკატირებას უწევს ქალებს მეცნიერებაში. სწორედ ამ მიზნით, განათლების, მეცნიერების და სპორტის სამინისტროში შექმნილია ექსპერტული ორგანო – **ქალების მეცნიერებაში ჩართულობის ხელშეწყობის კომისია**. იგი 14 წევრისგან შედგება და ძირითადად აქტიურებს ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. მათ ასევე შეიმუშავეს სპეციალური დებულებები კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისას გენდერული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. ასევე, გენდერულად სენსიტიური სამეცნიერო ენის დამკვირდებაში კომისიას დიდი წვლილი შეაქვს და მხარს უჭერს გენდერული ბალანსის დაცვას სამეცნიერო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.

თანასწორობის ოფისი აქტიურად უჭერს მხარს ქალის როლს კერძო სექტორში. ამ მიზნით მათ მოაწყვეს ექსპერტული პანელი: „საქონელსა და მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქალსა და მამაკაცს შორის“. ქალთა მენარმეობის ხელშეწყობად გაიცა ვაუჩერები ქალ მენარმეებზე, იმ მიზნით რომ ქალების გადაამზადება და უნარებით აღჭურვა მომხდარიყო.

სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით, სლოვენია ლიდერობს ევროკავშირში და მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც შრომის გენდერულად არათანაბარი ანაზღაურების მაჩვენებელი დაბალია. 2012 წელს, სლოვენიაში ეს სხვაობა 5.1%-ის ტოლი იყო. ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების 2012 წლის მაჩვენებლით, სლოვენიას მე-18 ადგილი უჭირავს მსოფლიოში. თუმცა, კომიტეტი ქალთა მიმართ ყველა ფორმის ძალადობის აღმოფხვის შესახებ თავის ანგარიშში სლოვენიის შესახებ აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა რაოდენობა კერძო და საჯარო ორგანიზაციებში კვლავ დაბალია. ყველაზე მსხვილი კომპანიების მმართველი საბჭოების ხელმძღვანელების მხოლოდ 11%-ია ქალი და თავად საბჭოს წევრებიდან 14% ქალია. თანაბარი შესაძლებლობების ოფისი ყოველწლიურად აწარმოებს კერძო სექტორის გამოკითხვას, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე გენდერული ბალანსის გამოსარკვევად. გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 2.8%-ს აქვს გათვალისწინებული შიდა განაწესში გენდერული ბალანსის უზრუნველყოფა.

გენდერული თანასწორობის პრინციპები დაცულია ეროვნული გეგმის გარდა სხვა საკანონმდებლო აქტებში, როგორც არის: კანონი შრომითი ურთიერთობების შესახებ მიღებული 2013 წელს და ჯანმრთელობის და უსაფრთხოების აქტი სამუშაო ადგილზე მიღებული 2011 წელს რომლებიც გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას არეგულირებენ შრომით ურთიერთობებში. შრომითი ურთიერთობების აქტი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორც არის ძუძუთ კვებაზე მყოფი ბავშვის დედეების შრომითი უფლებები. კანონი მას უსაზღვრავს მინიმუმ ერთ საათს მთელი დღის განმავლობაში, მაშინ, როდესაც საქართველოში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება დეკრეტული შევსებების ირგვლივ კვლავ დაბალია.

სლოვენიაში სოფლად მცხოვრებ ქალებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს, სადაც **სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა არის აღწერილი**.³

3 CEDAW, Report on Slovenia. 19 May 2014.

სხვა ქვეყნები:

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხრივ, ევროკავშირის ქვეყნების ინსტიტუციური მექანიზმები დაახლოებით ერთგვარია. აქედან გამომდინარე, სასურველია, განვიხილოთ სხვა წარმატებული ქვეყნების მაგალითები. ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, წამყვანი ქვეყნების ათეულში სკანდინავიის და ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების გარდა კანადა, ახალი ზელანდია და ავსტრალია ხვდება. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანის ლეგალური და ინსტიტუციონალური ბაზა, რომელიც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების უზრუნველსაყოფად არის მიმართული.

კანადა

კანადაში გენდერული თანასწორობა, მთავარი საკანონმდებლო დოკუმენტით - უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიით - არის უზრუნველყოფილი. ასევე, კანადის ადამიანის უფლებათა აქტი კრძალავს ყველა სახის დისკრიმინაციას, შრომის სამართლიანი გადანაწილების (დასაქმების თანასწორობის აქტი) და კერძო სექტორში სამართლიანი კომპენსაციის აქტი კი უზრუნველყოფს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას⁴. კანადა ასევე მნიშვნელოვანი აქტორია, როცა საქმე მსოფლიო მასშტაბით ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერას ეხება. კანადის მთავრობის დახმარებით, გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე გაეროს სხვადასხვა ორგანომ შექმნა ახალი ვებ გვერდი **“Empower Women”** (გააძლიერე ქალები), რომელიც საერთაშორისო პლატფორმას წარმოადგენს და ემსახურება ინფორმაციის ბაზას მსოფლიო მასშტაბით ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის შესახებ. ვებგვერდი და მასზე განთავსებული მასალები ხელმისაწვდომია რამდენიმე ენაზე.

კანადის კაბინეტის შემადგენლობაში არის გამოყოფილი ოფისი, **კანადაში ქალთა სტატუსის შესახებ (Status of Women in Canada)**. სამინისტრო მუშაობს რამდენიმე მიმართულებით: ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა, ქალები სოფლად და მიუვალ ადგილებში, ქალები არატრადიციული პროფესიით, ახალგაზრდა ქალები და გოგონები კანადაში, ქალები მმართველ საბჭოებში. 2016-2017 წლებში, კანადის მთავრობა ახორციელებს პროგრამას **ქალთა გაზრდილი ეკონომიკური უსაფრთხოება და წარმატება**, რომლის ფარგლებშიც გამოიყო ნახევარ მილიონამდე დოლარი, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამშენებლო კომპანიების მიერ ქალი თანამშრომლების ჩართვა საქმიანობაში. პროექტის ფარგლებში, კომპანიებს დაეხმარებიან, შეიმუშაონ პირობები და წესები თანაბარი გარემოს შესაქმნელად და ქალთა ჩართულობის გასაზრდელად. ასევე, კანადის მთავრობა მუშაობს ქალთა ჩართულობის გასაზრდელად არაკონვენციურ, არატრადიციულ სამუშაო სფეროებში და პროფესიებში, როგორცაა, მაგალითად, ტექნიკური სამსახური და კვალიფიციური ვაჭრობა (tech professionals and qualified tradesman).

კანადა აქტიურად იყენებს **GBA+ (Gender Based Analysis Plus)** ინსტრუმენტს, რომელიც ანალიტიკური საშუალებაა იმის დასადგენად თუ რა განსხვავებები შეიძლება არსებობდეს ქალს, კაცს და გენდერულად სხვა მრავალფეროვან ჯგუფებს შორის პროგრამების და პოლიტიკის ზეგავლენის მოხდენის პროცესში. იმისათვის, რომ GBA+ გატარდეს რეალურ ცხოვრებაში, საჭიროა შემდეგი ძირითადი კითხვების დასმა:

1. მჯერა თუ არა, რომ საკითხი, რომელზეც ვმუშაობ, არის გენდერულად კულტურულად ნეიტრალური? ან შესაძლებლობების მიმართ ნეიტრალური? თუ ეს საკითხი მხოლოდ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარეობს?

2. შესაძლებელია თუ არა, ჩემი დასკვნები ხელს მიშლიდეს კითხვების დასმაში და ჩემი გამოცდილების მიღმა მყოფი პასუხების მოსმენასა თუ გაგებაში?

3. ზღუდავს თუ არა ორგანიზაციების, ინსტიტუტების და ჩემ ირგვლივ მყოფი საზოგადოების შეხედულებები და ნორმები იმ პოლიტიკის შესაძლებლობებს, რომელსაც მე მოვიაზრებ და წარვადგენ?⁵

ფემინისტური საერთაშორისო დახმარების პოლიტიკა – კანადის საერთაშორისო განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მისი ძირითადი მიმართულებაა გენდერული თანასწორობა და გოგონათა და ქალთა გაძლიერება. ასევე, კანადა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას დახმარებას უწევს შემდეგი მიმართულებით: ადამიანური ღირსების შენარჩუნება, ზრდა, რომელიც ყველასათვის მუშაობს, გარემო და კლიმატის ცვლილებები, ინკლუზიური მმართველობა, მშვიდობა და უსაფრთხოება. ამ ყველა მიზნის მიღწევა ფემინისტური მიდგომის მეშვეობით ხდება, სადაც ყველა საკითხი გენდერულ ჭრილშია დანახული და ქალთა და გოგონათა პრობლემებს ექცევა ყურადღება⁶.

4 Government of Canada, Rights of Women. Accessed: [<http://www.canada.pch.gc.ca/eng/1448633334004>]

5 Status of Women Canada, GBA+ tool. Accessed: [<http://www.swc-cfc.gc.ca/gba-ac/apply-appliquez-en.html>]

6 Canada's Feminist International Assistance Policy. Accessed: [http://international.gc.ca/world-monde/issues_development-enjeux_developpement/priorities-priorites/policy-politique.aspx?lang=eng]

დანართი №3

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, 2006-2016 წლებში, დონორების და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტთა ჩამონათვალი:

სახელი	დონორი	NGO	წლები
ქალთა ეკონომიკური გაძლიერება	ფონდი ღია საზოგადოება საქართველო	ფონდი ტასო	2008-2009
ავგისტოს ომის შედეგად დაზარალებული ქალების დახმარება	გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UNIFEM)	ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია	2008-2009
ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა	აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტო (USAID Georgia)	ქალთა ფონდი საქართველოში	2009-2011
NAMA's სამართლიანი, მდგრადი და კლიმატ გამძლე განვითარება.	ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში	სოფლად თემთა განვითარების სააგენტო (RCDA), ევროპის ქალები საერთო მომავლისთვის (WECF)	2010-2015
ინკლუზიური ეკონომიკური გაძლიერება და მმართველობა სამხერთ კავკასიაში	ავსტრიის განვითარების სააგენტო	ქვა საქართველო (CARE Georgia)	2011-2014
ქალთა გაძლიერება (EWA)	ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო	სოფლად თემთა განვითარების სააგენტო (RCDA)	2012-2015
ძლიერი ქალი-ძლიერი ინტეგრაცია	ავსტრიის განვითარების სააგენტო	World Vision საქართველო	2012-2014
საქართველოს სასოფლო სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი (REAP)	აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტო (USAID Georgia)	CNFA Georgia	2013-2018
გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში	შვედეთის მთავრობა	გაეროს განვითარების პროგრამა/გაეროს მოსახლეობის ფონდი/გაეროს ქალთა ორგანიზაცია	2012-2015
სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (ENPARD)	ევროპის კავშირი	ქვა საქართველო, ოქსფამი, მერსი ქორპს, ადამიანი გაჭირვებაში, გაეროს განვითარების პროგრამა.	2013-2020
ჰორიზონტების გაფართოება: პროფესიული და ეკონომიკური განვითარებაში გოგონების და ქალების არჩევანის გაუმჯობესება	აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტო (USAID Georgia)	კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN)	2013-2016
მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა საქართველო	მერსი კორპსი, შვეიცარიის განვითარების ოფისი	კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN)	2014-2017
მმართველობა განვითარებისათვის საქართველო-G4G	აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტო (USAID Georgia)	Deloitte Consulting LLP	2014-2019
ვიმუშაოთ თანაბარ გარემოში	აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტო (USAID Georgia)	კონსტიტუციის 42-წ მუხლი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, ჯამფსტარტ საქართველო, N-MAP, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება	2014-2016
სოფლად მცხოვრები ქალების ინფორმირება	GIZ საქართველო	კონსტიტუციის 42-წ მუხლი	2015

სესხები ქალ მენარმეთათვის	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი	2016
ქალ მენარმეთა შესაძლებლობების ზრდა	შვეიცარიის საელჩო საქართველოში	ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი	2015-2016
იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელმისაწვდომობა ეკონომიკურ რესურსებზე	ევროპის კავშირი	გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) /საკვებისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცია (FAO)	2016-2017
საქართველოში მცხოვრები შშმ ქალებისთვის დასაქმების ხელშეწყობა	ჩეხეთის განვითარების სააგენტო	ქვა საქართველო	2015-2017
თბილისის ავტობუსი-გენდერული დახმარების სერვისი	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	2017-2019
მონყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით	ევროპის კავშირი/საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)/გაეროს ქალთა ორგანიზაცია	სსიპ: დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	2017
შესაძლებლობების შექმნა ახალგაზრდა ქალებისთვის მიგრაციის შესაჩერებლად	აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტო (USAID Georgia)	HERA საქართველო	2017

დანართი №4

ქალების საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფართობის თანაფარდობა ჯამში ფიზიკური პირების საკუთრებაში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფართობთან რეგიონების მიხედვით						
რეგიონი	ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული მილიანი დაუზუსტებელი ფართობი (ჰექტარი)	ქალის საკუთრებაში არსებული დაუზუსტებელი ფართობი (ჰექტარი)	პროცენტი	ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული მილიანი დაუზუსტებელი ფართობი (ჰექტარი)	ქალის საკუთრებაში არსებული დაუზუსტებელი ფართობი (ჰექტარი)	პროცენტი
აჭარის რეგიონი	2147,1	299,3	13,9	13131,83538	5233,9	39,9
გურიის რეგიონი	6032,0	1528,4	25,3	25342,0159	10193,6	40,2
თბილისი	11,2	5,2	46,8	2278,425962	932,7	40,9
იმერეთის რეგიონი	33336,5	6179,5	18,5	75754,24898	26019,3	34,3
კახეთის რეგიონი	71145,3	12057,0	16,9	213820,7063	46547,1	21,8
მცხეთა-მთიანეთის რეგიონი	10442,8	1804,2	17,3	21793,71479	6976,8	32,0
რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი	5333,5	1219,4	22,9	26335,41339	8417,3	32,0
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი	32545,4	20382,9	62,6	54593,09922	21817,4	40,0
სამცხე-ჯავახეთის რეგიონი	16594,3	2518,7	15,2	63750,17328	14063,5	22,1
ქვემო ქართლის რეგიონი	21396,0	5208,8	24,3	114927,7685	25681,9	22,3
შიდა ქართლის რეგიონი	20031,7	6479,8	32,3	44047,91295	13264,6	30,1

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრე ფიზიკურ პირთა საერთო რაოდენობა, ქალ მესაკუთრეთა რაოდენობა და მათი პროცენტული თანაფარდობა რეგიონების მიხედვით			
რეგიონი	მესაკუთრე ფიზიკურ პირთა საერთო რაოდენობა	ქალ მესაკუთრეთა რაოდენობა	პროცენტი
აჭარის რეგიონი	54116	22130	40,9
გურიის რეგიონი	45238	19794	43,8
თბილისი	16358	6997	42,8
იმერეთის რეგიონი	131481	55468	42,2
კახეთის რეგიონი	99928	39110	39,1
მცხეთა-მთიანეთის რეგიონი	62516	27520	44,0
რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი	10431	4265	40,9
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი	76965	32651	42,4
სამცხე-ჯავახეთის რეგიონი	41937	16813	40,1
ქვემო ქართლის რეგიონი	133834	49038	36,6
შიდა ქართლის რეგიონი	67579	27064	40,0

სქემა: ქალების მიერ სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფლობა. 2017 წელი.
წყარო: საჯარო რეესტრის სამსახური